ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba
akhalitaoba.ge

ხუთშაბათი, 12 დეკემბერი, 2019 №294 (8248) ფასი: 60 თეთრი

## გიგი უგულავას პოლიციამ ბრალი წაუყენა



გვ.2

„ძიუდოისტი ბადრი გავაშელაშვილი მიჩივის, მცემაო“

10 დეკემბრიდან

საქართველოს ისტორია პატარებისთვის

თამარს უამბო დედამა



წიგნი II

ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი

# გია ხუხაშვილი: „მე მგონი, ლობიოც კი ნაცების საჭმელად გამოაცხადეს“



„ივანიშვილმა სააკაშვილს წაართვა მერსედესი, მაგრამ დაქოქვა ჯერ ვერ ისწავლა, ზის შიგნით და აპიპინებს, პედლებზე ფეხს აჭერს“ გვ.3





## დავით დარჩიაშვილი: „ოცნებას“ ფეხქვეშ მიწა დანაღმული აქვს“

„გამოსავალი განაღმვაა, ანუ ხელისუფლების გადანაწილება“ გვ.3



## ბათუ ქუთელია: „ჯარი გვყავს, მაგრამ არ გვყავს უმაღლესი მთავარსარდალი“

გვ.4

## ვახტანგ მაისაია: „გუბაზ სანიკიძე ზღაპრების დიდი მოყვარული ყოფილა“



გვ.5

## ალექსანდრე ხოჯევანიშვილმა ქბრბ საფრთხეების წინააღმდეგ ბრძოლის უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს სხდომა გახსნა

გვ.2





## ლევან ჩაჩუა: „ნაც-ქოცური მანკიერი სისტემა მშვიდობიანად უნდა შევცვალოთ“

გვ.4

ISSN 1987-9385
9 771987 938006

5 ილია ჯიშკარიანის დაცვის მხარის 22 მტკიცებულება სასამართლომ დაუშვებლად ცნო

2 ტრანსპორტის საქალაქო სამსახურს ვიქტორ წილოსანი უხელმძღვანელებს

5 ლუკა კალანდია: „სასამართლოს სხდომები ღია რომ იყოს, საზოგადოებას ეცოდინებოდა, რა მოხდა ხორავას ქუჩაზე“

6 ბორის ჯონსონმა მოსახლეობას რძე დაურიგა

# სალომე ზურაბიშვილი: „არც ჯარი გვაქვს, არც იარაღი და არც გვექნება“

## „აქილიკებენ ჩემს ჩაცმას, გადაადგილებას თუ ლობიოს ჭამას“

10 დეკემბერს სამეცნიერო წარმომადგენლებთან შეხვედრისას სალომე ზურაბიშვილმა მორიგი ხმაურიანი და სკანდალური განცხადება გააკეთა. საქართველოს პრეზიდენტისა და ქვეყნის მთავარსარდლის განცხადებით, საქართველოს ჯარი და იარაღი არ აქვს და არც ექნება.

ზურაბიშვილის მტკიცებით, თავდაცვისა და ეკონომიკის მიმართულებით არსებული პრობლემების მიუხედავად, საქართველოს ის ძლიერი იარაღი აქვს, რომელსაც ცოდნა, მეცნიერება და კულტურა ჰქვია.

– არც ჯარი გვაქვს, არც იარაღი და არც გვექნება, არც ის ეკონომიკური პოტენციალი, რომ უცებ დავიპყროთ თუნდაც რეგიონი. მაგრამ ჩვენ გვაქვს ის უზარმაზარი, ძალიან ძლიერი იარაღი, რასაც ჰქვია ცოდნა, მეცნიერება, კულტურა და ძალიან მდიდარი რეგიონი ამ მხრივ, არა მხოლოდ დღევანდელი დღით, თავისი წარსულით, არქეოლოგიით, რელიგიით, თავისი ძირებით და თავისი მომავლით, – განაცხადა სალომე ზურაბიშვილმა.



გუშინ, 11 დეკემბერს, პრეზიდენტმა თავისი ნათქვამის გამოსწორება ფეისბუქში სცადა.

„პრეზიდენტის ბულინგი რას ემსახურება? იმის მაგივრად, რომ საქმეზე ორიენტირებული კომენტარები ან თუნდაც კრიტიკა ისმოდეს, ჩასაფრებული პოზიციიდან პრეზიდენტის ყველა სიტყვა (არაფერი რომ ვთქვათ მის ჩაცმაზე, გადაადგილებაზე, თუ „ლობიოს ჭამაზე“) ხდება საქილიკო. ვრცელდება დამახინჯებული და გროტესკულად კონტექსტიდან ამოგლეჯილი მისი სიტყვები, ცილისმწამებლური შეფასებებით და ინტერპრეტაციებით, რაზედაც შემდეგ ითხოვენ პრეზიდენტისგან განმარტებას და ასევე სთხოვენ ხელისუფლების წარმომადგენლებს კომენტარის გაკეთებას არასწორად მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, რათა შეიქმნას განცდა დაშორების თუ დაპირისპირების. ამითი უნდათ გააჩინონ საზოგადოებაში გაუგებრობა და უნდობლობა.

ვის აწყობს, პრეზიდენტის ინსტიტუტის დასუსტება? ხან მისი და პოლიციის, ხან მისი და თავდაცვის ძალების ან კიდევ მასა და მმართველ გუნდს შორის ბზარის გაჩენა?

მცდელობაა ასევე, რომ პრეზიდენტის ყველა ინიციატივა, მით უმეტეს, რომელიც ეხება ეროვნული ფასეულობების დაცვა-გაძლიერებას, იყოს იგნორირებული, დაკნინებული, დამახინჯებული და გადაფარული ახალი „სკანდალით“.

გუშინდელი მეტად მნიშვნელოვანი წამოწყება მოიცავდა ყველა იმ უწყებების/ინსტიტუტების შეკრებას, რომლებიც საქართველოს და კავკასიის შესწავლას ემსახურებიან, სწორედ ამ ღონისძიებაზე დაარსდა მათი ერთიანი საკოორდინაციო ცენტრი და ეს ნამდვილად არის ეროვნული საქმე.

ასეთი წამოწყების მიზანია, რომ ჩვენს მეცნიერებას და კულტურას კიდევ უფრო მეტად „გავუშალოთ ფრთები“ (რაზედაც ალბათ ვილაც დაწერს, რომ ავიაციას ვებრძვი) რათა მსოფლიოში ჩვენ თვითონ გავიტანოთ სწორი და სრული ინფორმაცია ჩვენი ქვეყნის და ჩვენი მიღწევების შესახებ. დღეს ჩვენ თუკი გვესმის დღევანდელი მსოფლიოს გამოწვევები და რბილი ძალების შეტაკება, უნდა გვესმოდეს თუ რაოდენ მნიშვნელოვანია ჩვენი ეროვნული იდეოლოგიის გაძლიერება, რაც თავისთავად ჩვენი სტრატეგიული მიზანიც უნდა იყოს“, – ნათქვამია პრეზიდენტის ადმინისტრაციის განცხადებაში.



# გიგი უგულავას პოლიციამ ბრალი წაუყენა

## „ძიუდოისტი ბადრი გავაშელაშვილი მიჩივის, მცემაო“

გუშინ, 11 დეკემბერს, გიგი უგულავას და გოკა გაბაშვილს თბილისის აეროპორტში თავს დაესხნენ.

ამის შესახებ გიგი უგულავამ ფეისბუქში დაწერა:

„მე და გოკა გაბაშვილს ივანიშვილის ორკები დაგვესხნენ თავს აეროპორტში, საპასპორტო კონტროლის შიგნით ზონაში. ახლა მივდივართ შუშის შენობაში. ამბობენ, თავდამსხმელები დავიჭირეთო. არ ვიცი. ჩვენ კარგად ვართ. გოკას მუხლი დაუზიანდა. ეტყობა, ასე ჩაშალეს ჩვენი ორდღიანი მგზავრობა. ძაან საცოდავია ეს რეჟიმი. სასაცილოც კი“

ამის შემდეგ მოვლენები კიდევ უფრო საინტერესოდ განვითარდა და საღამოს გიგი უგულავამ ფეისბუქში დაწერა:

„ჰოი საოცრებავ. პოლიცია დიდსულოვნად მომადგა სახლში და ბრალს მიყენებენ 126-ე მუხლის პირველი ნაწილით, რაც პირის ცემას გულისხმობს.

ვინმე ბადრი გავაშელაშვილი ყოფილა, ვინც მიჩივის, მცემაო. პროფესიით ძიუდოისტი. მე დავესხი თავს ძიუდოისტს.“

# კახა ოქრიაშვილი ნიკა მელიასთვის იმუნიტეტის მოხსნას მხარს არ დაუჭერს



„ქართული ოცნების“ ე.წ. აჯანყებული წევრი კახა ოქრიაშვილი ნაციონალური მოძრაობის დეპუტატის, ნიკა მელიასთვის მანდატის შეწყვეტას მხარს არ დაუჭერს.

ამის შესახებ მმართველი პარტიის მაჟორიტარმა ჟურნალისტებს თავად განუცხადა.

ის მომხრეა, რომ დეპუტატს ძლიერი იმუნიტეტი ჰქონდეს, რათა მასზე გავლენა ვერ მოახდინონ.

„არ დავუჭერ მხარს. მე ვთვლი, რომ ორი შეხედულებაა დეპუტატის იმუნიტეტთან დაკავშირებით. ერთი ხედვა არის, რომ დეპუტატებს არ უნდა ჰქონდეთ ძლიერი იმუნიტეტი და მეორე ხედვა არის, რომ თუ დეპუტატს არ აქვს სათანადოდ დაცვა, ის ძლიერი ვერ იქნება და დეპუტატის მანიპულირება უფრო ადვილი ხდება.

მე ვფიქრობ, რომ დეპუტატის იმუნიტეტი უნდა იყოს მყარი და მე არ დავუჭერ მხარს“ – განაცხადა ოქრიაშვილმა.

# ტრანსპორტის საქალაქო სამსახურს ვიქტორ წილოსანი უხელმძღვანელებს

ტრანსპორტის საქალაქო სამსახურს ვიქტორ წილოსანი უხელმძღვანელებს. ამის შესახებ თბილისის მერმა კახა კალაძემ მუნიციპალიტეტის მთავრობის სხდომაზე განაცხადა.

როგორც კალაძემ აღნიშნა, სამსახურის ყოფილი უფროსი მამუკა მუმლაძე მუშაობას მერიაში გააგრძელებს, თუმცა რა თანამდებობაზე, კალაძეს არ დაუკონკრეტებია.

– დღეს წარმოგიდგენთ ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის ახალ ხელმძღვანელ ვიქტორ წილოსანს. ამ პოზიციაზე მუშაობდა მამუკა მუმლაძე, რომელიც არ მიდის გუნდიდან და საკმაოდ მაღალ პოზიციაზე გააგრძელებს მუშაობას ტრანსპორტის მიმართულებით.

რაც შეეხება ვიქტორ წილოსანს, ის განათლებით გახლავთ ეკონომისტი. მუშაობდა მერიის ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილის პოზიციაზე, მანამდე იყო პრემიერ-მინისტრის ეკონომიკური საბჭოს პირველი კატეგორიის მრჩეველი და აქვს ძალიან მრავალფეროვანი და საინტერესო გამოცდილება.

ჩვენ გადავდივართ ახალ სისტემაზე. გარდა იმისა, რომ ახალი ავტობუსები შემოგვყავს, პარალელურად ვქმნით სატრანსპორტო ინფრასტრუქტურას, რადგან მხოლოდ ავტობუსების შემოყვანა არასაკმარისია იმისთვის, რომ სატრანსპორტო პრობლემა მოგვარდეს. ამ ინფრასტრუქტურას ეკონომიკური ღირებულება ექნება ჩვენი ქალაქისთვის. ვიწყებთ მუშაობას ტრანსპორტის მართვის ერთიან სისტემაზე – ტრანსპორტის გენერალურ გეგმაზე, რათა სატრანსპორტო სისტემა რამდენიმე წელიწადში იყოს



სრულად გამართული არა მხოლოდ ახალი ავტობუსებით, არამედ სათანადო ინფრასტრუქტურით, ჭკვიანი შუქნიშნებით და მართვის ერთიანი ელექტრონული სისტემით. წარმატებას ვუსურვებ ამ გუნდს, – განაცხადა კალაძემ.

**იპნ**

# მარჯანიშვილის მეტროსთან 2 მამაკაცი დაჭრეს

მარჯანიშვილის მეტროს მიმდებარე ტერიტორიაზე ორი მამაკაცი დაჭრეს.

საქმეზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე მუხლის მე-7 ნაწილითა და 236-ე მუხლებით დაიწყო, რაც ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანებას და ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა/შენახვა/ტარებას გულისხმობს.

# ალექსანდრე ხოჯევანიშვილმა ქბრბ საფრთხეების წინააღმდეგ ბრძოლის უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს სხდომა გახსნა

სასტუმრო „ქორთიარდ მარიოტში“ ქიმიური, ბიოლოგიური, რადიაციული და ბირთვული (ქბრბ) საფრთხეების წინააღმდეგ ბრძოლის უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს მეხუთე სხდომა გაიმართა. სხდომა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის მოადგილემ, საკოორდინაციო საბჭოს თავმჯდომარემ, ალექსანდრე ხოჯევანიშვილმა გახსნა.

სხდომაზე საბჭოს სამდივნომ წევრი უწყებების მიერ 2018 წლის განმავლობაში შესრულებული აქტივობები და ქიმიური, ბიოლოგიური, რადიაციული და ბირთვული საფრთხეების შემცირების ეროვნული სტრატეგიის 2015-2019 წლების სამოქმედო გეგმის შესრულების ბოლო წლის ანგარიში წარადგინა.

სხდომაზე მოწვეულმა სტუმრებმა და საერთაშორისო პარტნიორებმა ხაზი გაუსვეს ქბრბ ეროვნული სამოქმედო გეგმის პრიორიტეტებისა და ამოცანების კუთხით მიღწეულ იმ პროგრესს, რაც საბჭოში შემავალი უწყებების ეფექტური და კოორდინირებული მუშაობის შედეგია.

საბჭოს წევრი უწყებების წარმომადგენლებმა 2015-2019 წლების ეროვნული სამოქმედო გეგმის აქტივობები განიხილეს და მათ შესრულების შესაბამისი სტატუსი მიანიჭეს. ისინი ასევე გეგმის განახლებისთვის საჭირო თემატური სამუშაო შეხვედრების გამართვაზე შეთანხმდნენ. პირველი სამუშაო შეხვედრა 2020 წლის პირველ კვარტალში ჩაინიშნა.

სხდომას ესწრებოდნენ აშშ-ის ელჩის მოვალეობის შემსრულებელი ელიზაბეთ რუდი და საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობის განვითარებისა და თანამშრომლობის განყოფილების ხელმძღვანელი ვინსენტ რეი, „ქბრბ რისკების შემცირების გამოცდილების გაზიარების ინიციატივის“ რეგიონული სამდივნოს, ევ-



როკომისიის ერთობლივი კვლევის ცენტრისა და გაეროს რეგიონთაშორისი დანაშაულისა და სამართლის კვლევის ინსტიტუტის წარმომადგენლები. ღონისძიება ევროკავშირის მხარდაჭერით ჩატარდა.

ღონისძიებაში მონაწილეობა ასევე მიიღეს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილემ, სოლომონ პავლიაშვილმა, შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის უფროსმა, თეიმურაზ მღებრიშვილმა, საგარეო საქმეთა სამინისტროს სპეციალურმა წარმომადგენელმა ქბრბ საფრთხეების შემცირების საკითხებზე ნიკოლოზ რთველიაშვილმა და საბჭოს წევრი უწყებების (სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის, შინაგან საქმეთა, თავდაცვის, ფინანსთა, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის, ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროების) წარმომადგენლებმა.

საბჭოს სხდომაზე სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის მოადგილემ, ალექსანდრე ხოჯევანიშვილმა გაეროს რეგიონთაშორისი დანაშაულისა და სამართლის კვლევის ინსტიტუტის წარმომადგენელი ფრანჩესკო მიორინი, ბოლო წლების განმავლობაში, ქბრბ უსაფრთხოების სფეროში, ქართული უწყებებისთვის გაწეული დახმარებისთვის სამსახურის სიგელით დააჯილდოვა. ფრანჩესკო მიორინიმ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა, როგორც ქბრბ ეროვნული სტრატეგიის, ასევე სამოქმედო გეგმის შექმნაში.

„საკოორდინაციო საბჭოს სხდომაზე შევაფასეთ ჩვენი ხუთწლიანი შედეგები, მიღწევები და წარმატებები. ჩვენი პარტნიორი ქვეყნები და საერთაშორისო ორგანიზაციები ღიად საუბრობენ საქართველოს როლსა და წარმატებაზე ბირთვული კონტრაბანდის წინააღმდეგ ბრძოლაში. ინფორმაციის გაცვლისა და გამოცდილების გაცვლის მიზნით, ისინი ხშირად სტუმრობენ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის შესაბამის ექსპერტებს. ჩვენი წინა სხდომის შემდგომ, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის დანაყოფებმა აღკვეთეს ორი მნიშვნელოვანი ფაქტი აღნიშნული მიმართულებით“ – განაცხადა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის მოადგილე ალექსანდრე ხოჯევანიშვილმა.

– ძალიან მოხარული ვარ, რომ ვმონაწილეობ ქიმიური, ბიოლოგიური, რადიაციული და ბირთვული საფრთხეების წინააღმდეგ ბრძოლის უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს მეხუთე სხდომაში. აშშ ერთგულად აგრძელებს საქართველოსთვის დახმარების გაწევას მათ შორის ეროვნული სამოქმედო გეგმის შესრულების თვალსაზრისით, იმისთვის, რომ ქვეყანა იყოს სრულად მომზადებული, მოახდინოს პრევენცია და უპასუხოს ნებისმიერი ტიპის საფრთხეს, რაც უკავშირდება ქიმიურ, ბიოლოგიურ, რადიაციულ და ბირთვულ მასალებს. უკვე წლებია, ამერიკის შეერთებული შტატები მნიშვნელოვან დახმარებას უწევს საქართველოს იმ სააგენტოებს და სამინისტროებს, რომლებიც მუშაობენ ეროვნული უსაფრთხოების ამ ძალიან მნიშვნელოვანი მიმართულებით. ამერიკის შეერთებულ შტატებს აქვს უაღრესად მტკიცე თანამშრომლობა საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურთან, რაც გულისხმობს სამუშაო ჯგუფების ორგანიზებას, ტექნიკური დახმარების გაწევას, ამ მიმართულებით არსებული საფრთხეების საპასუხოდ საქართველოს შესაძლებლობების გაძლიერებას, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურისა და პარტნიორი სააგენტოების მეშვეობით, – განაცხადა აშშ-ის ელჩის მოვალეობის შემსრულებელმა, ელიზაბეთ რუდიმ.

– მოხარულები ვართ, რომ საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურს დაეკისრა წამყვანი როლი სხვადასხვა სამსახურების კოორდინაციის კუთხით. როგორც ყოველთვის, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური არის

გაგრძელება მე-3 გვერდზე

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 294-02-55
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი: 294-06-91
ვებგვერდი: www. akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# გია ხუხაშვილი: „მე მგონი, ლობიოც კი ნაცების საჭმელად გამოაცხადეს“

## „ივანიშვილმა სააკაშვილს წაართვა მერსედესი, მაგრამ დაქოქვა ჯერ ვერ ისწავლა, ზის შიგნით და აპიპინებს, პედლებზე ფეხს აჭერს“



ნონა ცაბაძე

**ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური მოვლენების შესახებ „ახალი თაობის“ კითხვებს ექსპერტი გია ხუხაშვილი პასუხობს.**

**გია ხუხაშვილი:**

– ყველა მიმართულებით გვაქვს სერიოზული პრობლემები და ჯარის შესახებ სალომე ზურაბიშვილის არაადეკვატური განცხადებები ამ პრობლემების რიგში პირველი არ არის. ის მაინც ჩვენი კონსტიტუციით ნომინალური ფიგურაა და რეალური ზიანის მიყენება გადაწყვეტილებებში მას არ შეუძლია, მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენ გვაქვს სისტემური პრობლემა მმართველობასთან დაკავშირებით, როდესაც დღევანდელმა ხელისუფლებამ ფაქტობრივად გამოაცხადა თავი სააკაშვილის ხელისუფლების სამართალმემკვიდრედ და არც ერთ მანკიერებაზე უარი არ თქვა. პირიქით, დააფრთიანა და კიდევ უფრო გააძლიერა.

***– სააკაშვილის მანკიერი სისტემა?***

– დიახ. მოსამართლეთა კორპუსი სააკაშვილის დროს თუ პოლიტიკურ შეკვეთებზე მუშაობდა, ახლა შეკვეთაზეც მუშაობენ და თავის თავზეც, პარტნიორები გახდნენ. თუ ადრე მომსახურე პერსონალი იყო, ახლა ამ ხელისუფლებამ პარტნიორებად დაიყენა და აი ასეთ უბედურებაში ვართ, სამწუხაროდ.

***– რამდენად იქნება ბოლო წვეთი მოსამართლეების საკითხი?***

– მე არ შემიძლია ბოლო წვეთზე ლაპარაკი, იმიტომ, რომ ჩვენს საზოგადოებას აქვს ძალიან დიდი მოთმინების რესურსი, იმიტომ, რომ აქამდეც ძალიან ბევრი რაღაც მოხდა, წარმოუდგენელიც კი.

ეს ბოლო ხომ საერთოდ – საარჩევნო სისტემის დაპირებაზე გადაგდება, ასეთი უხეში ფორმა საერთოდ წარმოუდგენელია და არც ერთი საზოგადოება, არც ერთ ხელისუფლებას არ უნდა პატიობდეს. ერთადერთი, რაც შველის ამ ხელისუფლებას, ეს არის ის, რომ არ არის რეალური ალტერნატივა.

***– ჩვენ თუ არა, მიშა მოვა – ეს დააჯერეს საზოგადოებას?***

– საზოგადოებას შეიძლება არ სჯერა, მაგრამ კონფორმიზმი როგორი დაავადებაა, იცით? შეიძლება შენ არ გჯერა რაღაცის, მაგრამ თუ შენს თავში პოულობ ფსევდოარგუმენტს, რაღაცნაირად საკუთარ სინდისთან თვლი, რომ მართალი ხარ, როდესაც არაფერს აკეთებ.

აი, ეს არის ჩვენი საზოგადოებისთვის დამახასიათებელი კონფორმიზმი, მე ვიტყოდი, აგრესიული კონფორმიზმი, საკუთარ კონფორმიზმს ამართლებ აგრესიით წარსულთან. რეალურად ქვეყნის პრობლემა წარსული ხომ არ არის? ქვეყნის პრობლემაა დღევანდელობა, ამ დღევანდელობაზე რა ხვალინდელი დღე აშენდება. გასაგებია, რომ რაც დღეს ხდება, არ ვარგა, მაგრამ ხომ იყო სისხლიანი 9 წელი!

***– მხოლოდ ეს არგუმენტი აქვს?***

– აი, ეს ერთადერთი არგუმენტია. ხელისუფლება ხომ ამაზე დგას. მის დღის წესრიგში არც არის სახელმწიფოებრივი პრობლემები. თუნდაც რომ ვნახოთ ამ ქვეყნის მმართველის ბოლო ინტერვიუ, მარტო წარსულზე, მარტო ნაციონალებზე ილაპარაკა, რომელ პრობლემას შეეხო, არც ერთს არ შეხებია!

***– ივანიშვილს აქვს გამოსავალი შექმნილი სიტუაციიდან?***

– არა. ისევ ერთადერთი გზა აქვს, რომ ილაპარაკოს სისხლიან 9 წელზე, ანუ ჩაგვტოვოს წარსულში. ამოეფაროს წარსულს და დაგვავიწყოს აწმყო და მომავალი.

***– ივანიშვილი იაფფასიან შურისძიებებზეა გადასული – ეს დაპატიმრებები, პოლიტპატიმრები, ტერორი, ანგარიშსწორება.***

– ეს არის მცდელობა, რომ მან ჩამოაყალიბოს რეჟიმი. მას მოსწონს სააკაშვილის პერიოდის სისტემა, მან ეს გადმოიბარა და სამართალმემკვიდრედ გამოაცხადა თავი, უბრალოდ, ჯერ კარგად დაქოქვა ვერ ისწავლა და რაღაც ექსპერიმენტებს ატარებს. ვიღაცას დაიჭერს, ვიღაცის დაშინებას შეეცდება. ის თვლის, რომ სააკაშვილს წაართვა მერსედესი, მაგრამ დაქოქვა ჯერ ვერ ისწავლა, ზის შიგნით და აპიპინებს, პედლებზე ფეხს აჭერს და აი, ამ ტრაგიკომიკურ სიტუაციაში ვართ.

***– ბატონო გია, დახურულ ფორმატზე ივანიშვილს ეუბნებოდნენ, რომ მას ჰყავს პოლიტპატიმრები, თუმცა, როცა ღიად მოხდა ამის გაცხადება, ეს აღარ ითქვა. რატომ? ყველა საუბრობდა, რომ ირაკლი ოქრუაშვილი პოლიტპატიმარია და მას ვადაგასული საქმე გაუცოცხლეს თავიდან.***

– ევროდონეზე პოლიტპატიმრების არსებობის დადასტურება უკვე ნიშნავს ძალიან სერიოზულ კონფლიქტს. მიუხედავად იმისა, რომ ევროპარლამენტში არსებობს განცდა, რომ ჩვენ გვყავს პოლიტპატიმრები, ამის გაფორმება კონკრეტული გადაწყვეტილების სახით, გრძელვადიანი პოლიტიკური შედეგების მქონე გადაწყვეტილება იქნებოდა და ამის გამო შეიკავეს თავი. მათ ის კი არ თქვეს, რომ არ არიან პოლიტპატიმრები, მათ უბრალოდ არ გააფორმეს პოლიტპატიმრების არსებობა.

ანუ თუ ევროპარლამენტი ადასტურებს, რომ საქართველოში არიან პოლიტპატიმრები, შემდეგი ნაბიჯი რა არის? რომ აქ არის რეჟიმი, რომელსაც ევროპასთან კავშირი არ შეიძლება ჰქონდეს და უკვე სანქციებზე უნდა იყოს ლაპარაკი.

***– ამას მოერიდნენ?***

– დიახ, ამას მოერიდნენ ამ ეტაპზე, რომ ასეთი მძიმე განვითარება მიეცათ ამისთვის და არა ის, რომ მათ არა აქვთ განცდა, რომ აქ პოლიტიკური დევნა მიმდინარეობს.

***– რამდენად დაიყოლიებენ ივანიშვილს, რომ საარჩევნო სისტემა შეცვალოს? თქვენ მას კარგად იცნობთ. რა ტიპაჟია?***

– ივანიშვილი ცდილობს მანევრირებას. ის ცდილობს, რომ გამოძვრეს ამ სიტუაციიდან, მაგრამ გამომდინარე იქიდან, რომ მის დღის წესრიგში დღეს ერთადერთი საკითხია, ძალაუფლების შენარჩუნება ნებისმიერი გზით, მას უწევს სასწორზე დადება, რისი უფრო მეტად ეშინია – დასავლეთის გაბრაზების, თუ ძალაუფლების დაკარგვის და მისი შედეგების მომკის.

ჯერჯერობით ის მანევრირებს.

***– მთელი მისი ქონებაც დევს სასწორზე?***

– მას აქვს ისეთი განცდა, რომ მარტო ძალაუფლებას კი არ კარგავს, კარგავს ყველაფერს. ამიტომ აკეთებს იმას, რასაც აკეთებს. ის თვლის, რომ აქვს არჩევანი ცუდსა და უარესს შორის. უარესად კი მიაჩნია ძალაუფლების დაკარგვა. იმიტომ, რომ ძალაუფლების დაკარგვის შემდეგ მას ეშინია ჯაჭვური რეაქციის, რაც ამას შეიძლება მოჰყვეს და ფიზიკური უსაფრთხოების პრობლემებისაც.

***– ეს შიში უფრო მეტ შეცდომას ხომ არ დააშვებინებს? საზოგადოებისთვის უფრო საშიში ხომ არ გახდება?***

– საშიში ცოტა გადაჭარბებულად მეჩვენება, მაგრამ მან უკვე ამოწურა თავისი თავი, ყოველ შემთხვევაში, ამ ტიპის მმართველობის ფარგლებში. სახელმწიფოსთვის დამაზიანებელია ის, რაც ხდება.

***– ასე გაგრძელდება 2020-მდე?***

– ვართ აბსოლუტურ ჩიხში. მხოლოდ ფსევდოკომუნიკაცია არსებობს საზოგადოებასა და ხელისუფლებას შორის. აბსოლუტურად გაუგებარი სიტუაციაა. რეალური გზების ძიება კრიზისიდან გამოსასვლელად არ ხდება. ჩვენ ყოველდღე ვისმენთ კობახიძის მორიგ პროვოკაციას, რომელიც ანულებს თუნდაც ამ მცდელობებს, რაც გვაქვს. შესაბამისად, მე გამიჭირდება რაიმეს პროგნოზირება. ალბათ ძალიან მალე ისევ შევალთ იმ ციკლში, რომ დაიწყება საუბარი ისევ სისხლიან 9 წელზე. ძალიან მალე ალბათ მოგვასმენინებენ სააკაშვილის სატელეფონო ჩანაწერს გადატრიალებაზე და აი ამ უბედურებაში გვამყოფებენ.

სხვა რესურსი ხელისუფლებს არ აქვს. უბრუნდება ისევ ძველ ტექნოლოგიას, რასაც ჰქვია შუას გაკრეფვა – ვინც ჩემთან არ არის, ყველა ნაცია, ნაცი კიდევ მტერია. ეს არის მთელი მათი პროპაგანდისტული ხაზი და ისევ ამ ხაზს დაიჭერენ. მე მგონი, ლობიოც კი ნაცების საჭმელად გამოაცხადეს.

აი, ასეთ აბსურდში ვართ! ქვეყნის შიგნითაც აღარ კმაყოფილდებიან და ენდიაი და აირაიც ნაცებად გამოაცხადეს.

# დავით დარჩიაშვილი: „ოცნებას“ ფეხქვეშ მიწა დანაღმული აქვს“

## „გამოსავალი განაღმვაა, ანუ ხელისუფლების გადანაწილება“



**„ევროპული საქართველოს“ ერთ-ერთი ლიდერი, პარლამენტის ყოფილი დეპუტატი დავით დარჩიაშვილი „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს აფასებს.**

ნათია ხურცილავა

***– ბატონო დავით, სალომე ზურაბიშვილის ნათქვამზე, რომ არ გვყავს ჯარი და შეიარაღება, პრეზიდენტის ადმინისტრაციამ განმარტება გააკეთა და პრეზიდენტის ბულინგზე ისაუბრა. რას იტყვით?***

– ეს ქალბატონი ან შეგნებულად პროვოკაციულ განცხადებებს აკეთებს, ან სრულიად არაშეგნებულად, რადგან არ იცის ქართული ენა. რეალობის ადეკვატურ აღქმასთანაც აქვს პრობლემა.

სიმართლე გითხრათ, რომელია რეალური მიზეზი ასეთი განცხადებების, ვერ გეტყვით. თუმცა, მაინც ვფიქრობ, რომ ენას ვერ ფლობს, ვერც სიტუაციას. სიტუაციას რომ ფლობდეს, ენის შეზღუდულობას უფრო გააცნობიერებდა და გაჩუმდებოდა ან უკეთესად მოემზადებოდა. ვერ ხვდება, როგორ შეიძლება იქნას აღქმული, მაგალითად, რომ ჯარი არ გვყავს! რა უნდა გითხრათ გარდა იმისა, რომ ეს არის ივანიშვილის მორიგი „საჩუქარი“, რომელიც ქართველ ერს ნაძალადევად ჩააჩეჩა.

***– რამდენად ადეკვატური იყო ხელისუფლების პოზიცია? თავდაცვის მინისტრმა ღარიბაშვილმა მკვეთრი პოზიცია დაიკავა.***

– მე, მაგალითად, სალომე ზურაბიშვილის ადგილზე მონასტერში წავიდოდი, რადგან ირაკლი ღარიბაშვილი უფრო ადეკვატური რომ იქნება, ვიდრე შენ, პარიზში დაბადებულ-გაზრდილი, თავადაზნაურული წარსულის მქონე, სრული კატასტროფაა, აბა რა არის?!

***– პარლამენტს ორი მნიშვნელოვანი საკითხი აქვს გადასაწყვეტი: მოსამართლეების დამტკიცება და ნიკა მელიასთვის უნდა დეპუტატის უფლებამოსილების შეჩერება. ორივე საკითხი შეიძლება პროტესტის ახალი ტალღის მიზეზი გახდეს?***

– პირველ რიგში, გადაწყვეტილებას ივანიშვილი იღებს, მერე მისი რიგითი რაზმელები.

***– ხულორდავამ, უმრავლესობის უკვე ყოფილმა წევრმა, განაცხადა, რომ ნიკა მელიასთვის უფლებამოსილების შეჩერებას მხარს არ დაუჭერს.***

– ხულორდავამ, ჩუგოშვილმა, კიდევ რამდენიმე ადამიანმა მოახერხა ბოლო წუთში, როდესაც თითქმის უკვე გასული იყო ადეკვატურობის მატარებელი, ამ სიგიჟეს გამიჯვნოდა. ამ ადამიანებს პოლიტიკური მომავალი აქვთ, თუმცა, რა გზით წავლენ, ეს მათი გადასაწყვეტია.

დანარჩენები, რომლებიც ივანიშვილის „კუკუშკას“ არიან ჩაბმულები, რას იზამენ, რთული სათქმელია. თუმცა, არც იმას გამოვრიცხავ, რომ ეროვნულმა სიბრძნემ, გასულმა პოლიტიკურმა გამოცდილებამ, რაც მათ საკუთარი თვალით აქვთ ნანახი, გავლენა იქონიოს. ვნახოთ, მაინც ინდივიდები არიან, ამიტომ შეიძლება ინდივიდუალური წუხილები გაახსენდეთ.

შეუძლებელია, საკუთარ თავთან არ ჰქონდეთ წინააღმდეგობა. გაიღვიძებს მათში რაიმე რაციონალური თუ არა, რთული სათქმელია. მათსავე ინტერესშია კომპრომისებზე წასვლა, მაგრამ არ გამოვრიცხავ, რომ სიბრმავეში ყოფნა არჩიონ. ახლა ისინი ფიქრობენ, ემანდ, რაიმე სისუსტე არ შეგვამჩნიონ! რაიმე არ დავთმოთ! არადა, ეს ხომ პირიქით არის, ამდენს ვერ ხვდებიან.

ასეთ დროს სწორედ საზოგადოება იღებს გადაწყვეტილებას, რაც შეიძლება მათთვის, როგორც მმართველი ელიტისთვის, სავალალო იყოს.

***– საზოგადოებამ ეს გადაწყვეტილება შეიძლება არჩევნებზე მიიღოს თუ სხვა ვითარებაშიც?***

– არაფერი გამორიცხული არ არის. დღეს ჩვენ გვყავს ხელისუფლება, რაც ალბათ დავიმსახურეთ, მაგრამ თუ ისინი გააგრძელებენ სიჯიუტეს და გვეტყვიან, რომ ჩვენ ვართ ამ ქვეყნის ნაღები და თქვენ არაფერი, მაშინ ძალიან ცუდად შეიძლება დაამთავრონ – ქუჩაში გამოსული ათეულობით ათასი ადამიანის პროტესტით, ყველა იმ შენობის ამოქოლვით, სადაც შეიძლება რაღაც ადგილი ჰქონდეთ!

მე სულ არ მინდა, ეს მოხდეს, მაგრამ ასეთ ვითარებაში მსგავსი რამ თავისთავად ხდება.

მე დღეს არ შემიძლია გითხრათ, ამ ქვეყნის მოქალაქეებისთვის რა იქნება ბოლო წვეთი. მაგალითად, ამ ოდიოზური მოსამართლეების უზენაეს სასამართლოში დანიშვნა თუ რუსული კულტურის ცენტრის გახსნა?! გავრილოვის პერსონაჟი აღმოჩნდა ნაპერწკალი, არ ვიცი, რა იქნება ასეთი ნაპერწკალი.

ადამიანის ფსიქოლოგია მათემატიკურად არ არის მოწყობილი. ამიტომ, ზუსტად ვერ გათვლი ემოციას, რეაქციებს. ერთი შემიძლია დანამდვილებით გითხრათ – ხელისუფლებას ფეხქვეშ მიწა სულ დანაღმული აქვს, აქედან ერთადერთი გამოსავალი მისი განაღმვაა ანუ ძალაუფლების გადანაწილება.

თუმცა, ვერ ვხედავ, რომ ეს ესმოდეს ივანიშვილს ან ხუნდაძეებს.

# ალექსანდრე ხოჯევანიშვილმა ქბრბ საფრთხეების წინააღმდეგ ბრძოლის უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს სხდომა გახსნა

დასაწყისი მე-2 გვერდზე

ძალიან პროფესიონალური. ჩვენ ძალიან ვაფასებთ ამ თანამშრომლობას. ჩვენ ვთანამშრომლობთ სხვა მიმართულებითაც, როგორიც არის საზღვრის მართვა და ჩვენ დავიწყებთ ახალ თანამშრომლობას „ევროკავშირი უსაფრთხოებისთვის ანგარიშვალდებულებისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლისთვის საქართველოში (შე )“ ჩვენი პროგრამის ფარგლებში დანაშაულის პრევენციისთვის. ეს არაჩვეულებრივია. საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის დახმარებით, რომელიც წარმოადგენს წამყვან უწყებას ქიმიური, ბიოლოგიური, რადიაციული და ბირთვული საფრთხეების წინააღმდეგ ბრძოლაში, ქვეყანამ შეიმუშავა სამოქმედო გეგმა, რომელიც თავს უყრის სხვადასხვა სახელმწიფო სტრუქტურებს და აქტორებს საქართველოში. სახეზეა ხედვა, გეგმა, რომელიც უნდა განხორციელდეს. საქართველოს უკვე აქვს პროგრესი საზღვრის კონტროლის მიმართულებით, ბირთვული ნარჩენების თვალსაზრისით, ასევე სხვადასხვა განხრით კანონმდებლობის შემუშავების კუთხით. შესაბამისად, ჩვენ უკვე ნახევარი გზა გვაქვს გავლილი გეგმის განხორციელების თვალსაზრისით“ – განაცხადა ევროკავშირის დელეგაციის თანამშრომლობის და დახმარების პროგრამების დანაყოფის ხელმძღვანელმა ვინსენტ რეიმ.

– მინდა ვთქვა, რომ საქართველო არის ჩვენი ძალიან მნიშვნელოვანი პარტნიორი და ერთი მოწინავე ქიმიური, ბიოლოგიური, რადიაციული და ბირთვული საფრთხეების წინააღმდეგ ბრძოლაში. საბჭოს ეს შეხვედრა აჩვენებს, რომ საქართველომ ძალიან ბევრს მიაღწია და ერთგულად აგრძელებს მუშაობას, რომ მიაღწიოს უფრო მეტს ქიმიური, ბიოლოგიური, რადიაციული და ბირთვული საფრთხეების წინააღმდეგ ბრძოლაში. ველოდებით, რომ მოვისმენთ ინფორმაციას საქართველოს პროგრესის და სამომავლო ხედვის შესახებ. დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენი თანამშრომლობა გაგრძელდება და უფრო გაძლიერდება მომდევნო წლებში, – განაცხადა ფრანჩესკო მიორინიმ, გაეროს რეგიონთაშორისი დანაშაულისა და სამართლის კვლევის ინსტიტუტის წარმომადგენელმა.




**შევიძენ**
ძველ ანტიკვარულ ნივთებს,
ნახატ სურათებს,
ძველ წიგნებს და ფაიფურს.
ტელ: 598-43-98-57

# ბათუ ქუთელია: „ჯარი გვყავს, მაგრამ არ გვყავს უმაღლესი მთავარსარდალი“

იაგო ნაცვლიშვილი

**საქართველოს პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი მორიგი ხმაურიანი განცხადებებით მოექცა ყურადღების ცენტრში. პრეზიდენტი, რომელიც ამავე დროს ქვეყნის უმაღლესი მთავარსარდალია, აცხადებს, რომ ქვეყანას არც ჯარი ჰყავს და არც იარაღი. მისი თქმით, სამაგიეროდ ქართველ ერს აქვს ისეთი ძლიერი იარაღი, როგორიც განათლება, მეცნიერება და კულტურაა.**
**როგორ აღიქმება პრეზიდენტის ეს ხმაურიანი განცხადება და ვის ინტერესებს ემსახურება ასეთი ქმედებები? — ამ და სხვა საინტერესო საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში საუბრობს საქართველოს ევროატლანტიკური საბჭოს ვიცე-პრეზიდენტი ბათუ ქუთელია:**



***— საქართველოს პრეზიდენტმა მორიგი ხმაურიანი განცხადება გააკეთა, რომელიც კონსტიტუციის თანახმად მთავარსარდალია, ამ დროს კი მან გვითხრა, რომ თურმე ჯარი არ გვყოლია და იარაღი არ გვქონია. თქვენ ეს როგორ გაიგეთ, როგორც უსაფრთხოების საკითხების სპეციალისტმა?***

— პირველი, რაც უნდა ვთქვათ, არის ის, რომ ჯარიც გვყავს, იარაღიც გვაქვს და უნდა გავაძლიეროთ კიდეც შეიარაღებული ძალები. რაც არ გვყავს, ეგ არის უმაღლესი მთავარსარდალი. იმიტომ, რომ ის ნომინალური პრეზიდენტი, რომელიც „ქართული ოცნების“ მიერ ძალიან მახინჯი არჩევნების ჩატარების შედეგად აირჩა თუ დაინიშნა, ვერ და არ ასრულებს ამ ფუნქციას.

ეს არის პირდაპირი შედეგი სწორედ ბიძინა ივანიშვილის მიერ სახელმწიფო ინსტიტუტების მიტაცებისა და არაფორმალური მმართველობისა. სადაც ყველა მცდელობა მიდის იქითკენ, რომ ყველა ინსტიტუცია იყოს დაკნინებული. განსაკუთრებით კი ავტორიტეტულ ინსტიტუტებს ეხება ეს. ეს არის ჯარი, პოლიცია და ზოგადად სახელმწიფო მართვის სისტემის მაქსიმალური დისკრედიტაცია. ეს არის რუსული ჰიბრიდული სტრატეგიული ომის ერთ-ერთი ამოცანაც და, სამწუხაროდ, ივანიშვილის არაფორმალური მმართველობის სისტემა აი ამ ინტერესებს ემსახურება.

***— ანუ თქვენ ამაში პრეზიდენტის მხრიდან შეგნებულად ნათქვამი ფრაზები დაინახეთ და არა გაუთვითცნობიერებლად?***

— დიახ. მე გაუთვითცნობიერებელ განცხადებებზე ვერ ვისაუბრებ. იმიტომ, რომ ეს არის სხვა ექსპერტიზის საგანი. ეს არის პრეზიდენტი, ადამიანი, რომელიც „ქართულმა ოცნებამ“ დასვა ამ ადგილას, უპრეცედენტო დარღვევების შედეგად გახადა პრეზიდენტი, რომელსაც მთელი „ქართული ოცნება“ და პირადად ბიძინა ივანიშვილი უჭერდა მხარს და, შესაბამისად, არანაირი არც უფლება არ მაქვს და არც ინტერესი, რომ რაიმე შეუგნებელ შეცდომად განვიხილო. ეს არის მიზანმიმართული, შეგნებული ხაზი და ეს კარგად ჯდება იმ ზოგად სახელმწიფოს დეინსტიტუციონალიზაციის ხაზში, რასაც სხვა სფეროებშიც აკეთებენ.

***— დავაზუსტებ. გაუთვითცნობიერებელში იმიტომ ვამბობ, რომ, სამწუხაროდ, პრეზიდენტმა თავი არაერთი დაუფიქრებელი განცხადებითა თუ ქმედებით დაგვამახსოვრა და ამიტომ ვსვამ ამ კითხვას.***

— მე არ მიმაჩნია, რომ მისი რომელიმე განცხადება ან ქმედება გაუთვითცნობიერებელი იყო. იმიტომ, რომ ის არის ამ ქვეყნის პრეზიდენტი და საკმაოდ თანმიმდევრულია თავის პოზიციებსა და განცხადებებში, რაც, სამწუხაროდ, აცდენილია ჩვენი ქვეყნის ეროვნულ ინტერესებს. პრობლემა სწორედ ეს არის, რომ ქვეყნის ეროვნულ ინტერესების წარმომდგენია ის ადამიანი, რომელიც ამ პოზიციაზე არის სწორედ არაფორმალური მმართველის სურვილით.

***— ახსენეთ რუსული ჰიბრიდული ომი. ფიქრობთ, რომ ივანიშვილმა დაკვეთა მიიღო რუსეთისგან, რომ ასეთი პოლიტიკა განახორციელოს და ყველა რგოლი, მათ შორის ქვეყნის მთავარსარდალიც ამ ფუნქციას ასრულებენ?***

— არ ვიცი. ახლა ასეთ ხისტ შეფასებებს არ გავაკეთებ, რომ დაკვეთა მიიღო. მე არ ვიცი, ვინ რა დაკვეთა მიიღო, მე ვიცი, რასაც ვხედავ და რასაც აკეთებს ბიძინა ივანიშვილი. მე ვიცი, რა არის რუსეთის სტრატეგიული ინტერესები. რუსეთის სტრატეგიული ინტერესებია, რომ საქართველო იყოს არშემდგარი სახელმწიფო. ბიძინა ივანიშვილი რასაც აკეთებს არაფორმალური მმართველობითა და სახელმწიფო ინსტიტუციების მოშლის მხრივ, მას ყველაფერი მიჰყავს არშემდგარი სახელმწიფოს თვალსაზრისით. აი ეს ორი რაღაცა ერთმანეთს ემთხვევა. ტექნიკურად ვინ ვის რა მითითება მისცა, ამ წიაღსვლებში მე ვერ წავალ, იმიტომ, რომ ეს მე არ ვიცი.

***— პრეზიდენტი აქამდეც გამორჩეულა უსიამოვნო განცხადებებით. ჩვენ გვსმენია მისი განცხადებები, რომ 2008 წლის აგვისტოს ომი საქართველომ დაიწყო და ა. შ. მისი ახლანდელი განცხადებაც ამ ხაზის გაგრძელებად დაინახეთ?***

— მე ეს გიპასუხეთ ზუსტად, რომ ის თავის პოლიტიკაში ძალიან თანმიმდევრულია. მისი განცხადებები ჯდება იმ ჯაჭვში, რაც ვახსენე, რომ საქართველოს არ უნდა ჰქონდეს ავტორიტეტული ინსტიტუციები, რომელზეც უსაფრთხოება დგას.

***— ამ შემთხვევაში კითხვას პრეზიდენტზე გისვამთ და არა ივანიშვილზე.***

— პრეზიდენტი ბიძინა ივანიშვილის მმართველობის შედეგია. მე ამას ცალ-ცალკე არ განვიხილავ. სალომე ზურაბიშვილი პრეზიდენტი იმიტომ გახდა, რომ ეს უნდოდა ბიძინა ივანიშვილს და იმ სისტემას, რომელიც მანააწყო. ამიტომ, ცალკე მის გაანალიზებას არ ვაპირებ. თანმიმდევრულები არიან თავის პოლიტიკაში. ივანიშვილისა და სალომეს განცხადებები იდენტურია, ისინი სხვადასხვანაირ ლექსიკას იყენებენ, მაგრამ ჯამში შინაარსი ერთნაირია. ერთ თანმიმდევრულ ჯაჭვს ემსახურება და ეს არის სახელმწიფოს დეინსტიტუციონალიზაცია.

***— ამ ვითარებაში გამოსავალი რაში მდგომარეობს, გარდა იმისა, რომ ხელისუფლება შეიცვალოს 2020-ის არჩევნებზე?***

— გამოსავალი ზუსტად არჩევნების გზით მაქსიმალური ზეწოლის განხორციელების პირობებით უნდა მოხდეს, მათ შორის საერთაშორისო ზეწოლითაც. ეს უნდა მოხდეს იმ ადამიანის მიმართ, ვისაც სახელმწიფო აქვს მიტაცებული და მასთან აფილირებულ ადამიანებზე. ეს საჭიროა იმისათვის, რომ ქვეყანა დაბრუნდეს ნორმალური პოლიტიკური ცხოვრების სტილში.

***— თუმცა, 5 წელი ისევ რჩება პრეზიდენტად სალომე ზურაბიშვილი.***

— სახელმწიფო ინსტიტუციების კონტროლი არჩევნების შემდეგ ჩამოერთმევა ბიძინა ივანიშვილს, შესაბამისად მაშინ გაცილებით უფრო ეფექტურად მოხდება სახელმწიფოს მართვა. სალომე ზურაბიშვილის ქვეყნისთვის მიყენებული ზიანიც მინიმალური იქნება მაშინ.

***— როცა საუბრობს, რომ ქვეყანას არ ყავს ჯარი და გვაქვს განათლება. რეალურად პირიქით ხომ არ არის, რომ ძალიან სერიოზული პრობლემებია განათლებასა და მეცნიერებაში და ქვეყანა ამ გამოწვევის წინაშეა, განსხვავებით ჯარისგან, რომელიც საბედნიეროდ გამართული ინსტიტუტია?***

— საერთოდ ამ ორი სფეროს გაყოფაც ძალიან ხელოვნურია. ჯარიც ნაწილია ქვეყნისა და სახელმწიფო მშენებლობის და განათლებაც. ზოგადად მთლიანად სახელმწიფო ინსტიტუციები ქმნიან სახელმწიფოს, მაგრამ ამას ასევე ქმნის ხალხის ნდობა. ერთ-ერთი ყველაზე მაღალი ნდობა აქვს ჯარს, ამიტომ ქვეყნის უსაფრთხოების და სახელმწიფოს განვითარების ერთ-ერთი გარანტი არის ჯარი.

ასევე მნიშვნელოვანია განათლების სისტემაც. თუ არ შეიქმნა სახელმწიფო, ვერც განათლება, ვერც მეცნიერება, ვერც ჯარი, ვერც კულტურა, ვერაფერი ვერ განვითარდება, ეს ყველაფერი ერთიანობაში წარმოადგენს ფასეულობას და არა განყენებულად, კონტექსტიდან ამოგლეჯილად, როგორც ცდილობს, რომ წარმოგვიდგინოს ჩვენმა პრეზიდენტმა.

***— თქვენ ვერ ხედავთ, რომ განათლების სისტემა ნელ-ნელა უფრო და უფრო დეგრადაციისკენ მიდის? ახლახან იყო კვლევა, როგორი სავალალო მდგომარეობაა საქართველოში მეცნიერების თვალსაზრისით.***

— ზოგადად სახელმწიფო მმართველობის სისტემა და სახელმწიფო ინსტიტუციებია მოშლილი. იმიტომ, რომ არ არსებობს ხედვა. არც განათლების კუთხით და არც სხვა მიმართულებებით. ახლა განათლების მინისტრს რომ წარამარა შეცვლიან და მერე არაეფექტურობისთვის გაშვებულ მინისტრს უკან დააბრუნებენ, ან პრემიერ-მინისტრს, რომელიც ვითომ არაეფექტურობის გამო გაუშვა ბიძინა ივანიშვილმა და ის თავდაცვის მინისტრად დააბრუნეს, ეს რაზე მეტყველებს?! რეფორმაზე აღარ ვსაუბრობ. რეფორმა პოლიტიკური ხედვის ნაწილია, თუ როგორი ქვეყანა გვინდა. ამ არაფორმალურ მმართველ ივანიშვილს და მის გუნდს არანაირი ხედვა არ აქვს საერთოდ. მათ სჭირდებათ რაღაც კვაზი, რომელშიც მათი პირადი გავლენა იქნება და რეალურად ეს მიბმული იქნება რუსულ ეკონომიკურ სივრცეზე. ციფრებიც მაგას ადასტურებს, რომ რუსულ ეკონომიკურ სივრცეზე უფრო ვებმებით, ვიდრე თავისუფალ დემოკრატიაზე. ამაზე ამერიკის სახელმწიფო მდივანმა ღიად მისცა შენიშვნა წინა პრემიერ-მინისტრს, რომელიც ასევე ნომინალური ფიგურა იყო.

***— როდესაც პრეზიდენტის ასეთ ქმედებებზე ვსაუბრობთ, ხომ არ ფიქრობთ, რომ ხელისუფლების შეცვლის შემთხვევაში მისი იმპიჩმენტის საკითხიც ხომ არ უნდა დადგეს ავტომატურად?***

— მე პირადად მივიჩნევ, რომ პრეზიდენტის ინსტიტუცია არ უნდა დაკნინებულიყო ისე, როგორც დაკნინდა ახალი კონსტიტუციის მიხედვით და პრობლემები აქედან დაიწყო. ეს საკითხიც გადასახედი იქნება. გარკვეულწილად პრეზიდენტს უნდა დაუბრუნდეს ფუნქციები, მათ შორის, უმაღლესი მთავარსარდლის. ამ გადმოსახედიდან რა ფუნქციებიც სალომე ზურაბიშვილს აქვს, ის არ და ვერ ასრულებს ქვეყნის უმაღლესი მთავარსარდლის და პრეზიდენტის უფლებამოსილებას, იმ მოცემულობითაც კი, რაც მას აკისრია. შესაბამისად, 2020-ის არჩევნების შემდეგ თუ წარმატებით მოხერხდა ივანიშვილის არაფორმალური მმართველობის დასრულება, მაშინ მნიშვნელოვნად გადასახედი იქნება ყველა ის გადაწყვეტილება, რომელიც კონსტიტუციური უმრავლესობის პირობებში მიიღო „ქართულმა ოცნებამ“.

***— ანუ პრეზიდენტის ინსტიტუტს, მათ შორის პირდაპირი არჩევნების გზით არჩევა უნდა დაუბრუნდეს?***

— ეს ახლა არის დებატების საკითხი. მე პირადად ვთვლი, რომ პირდაპირი არჩევნების გზით არჩეული პრეზიდენტი უნდა იყოს. საზოგადოებრივი კვლევებიც აჩვენებს, რომ მოსახლეობის უმეტესობას უნდა პირდაპირი გზით არჩეული პრეზიდენტი. ამ კონტექსტში და ამ გარემოში, რაშიც ჩვენ სახელმწიფოს ვაშენებთ, ვთვლი, რომ პირდაპირი გზით არჩეული პრეზიდენტი უფრო მიზანშეწონილია.

# ლევან ჩაჩუა: „ნაც-ქოცური მანკიერი სისტემა მშვიდობიანად უნდა შევცვალოთ“

მარიამ მჭედლიშვილი

**ქუჩებში გრძელდება ოპოზიციის საპროტესტო აქციები, პიკეტირება, ასევე — კონტრაქციები. ყურადღების ცენტრშია საარჩევნო საკითხები და მოსამართლეების კანდიდატურები. ამ ფონზე პარლამენტის უმრავლესობა დატოვა კიდევ ერთმა წევრმა, ალექსანდრე ერქვანიამ. მისი გადაწყვეტილების მთავარი მიზეზი საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიისა და პირადად კათოლიკოს-პატრიარქის წინააღმდეგ მიმდინარე თავდასხმებია. ამ საკითხებზე „ახალი თაობა“ ესაუბრა მოძრაობა „ქართული იდეის“ ლიდერ ლევან ჩაჩუას.**

***— პარლამენტის უმრავლესობა კიდევ ერთმა წევრმა დატოვა. ალექსანდრე ერქვანია ხელისუფლებას ადანაშაულებს ფარულ მოქმედებებში ეკლესიისა და პატრიარქის წინააღმდეგ. ამაზე თქვენც ხშირად საუბრობთ.***

— დიახ. „ქართული ოცნების“ შიგნიდან გამოვიდა ის, რასაც დიდი ხანია, ვამბობ. საპატრიარქოზე შეტევები სააკაშვილის დროსაც იყო, „ქართული ოცნების“ დროს კი უფრო გაძლიერდა.

ივანიშვილის ეპოქაში დაიწყეს ტალახის სროლა ამ ინსტიტუტის მიმართ. არჩევნების წინ კი გაგრძელდა პოლიტიკოსების ეკლესიებში დგომა და სიარული. ალექსანდრე ერქვანიამ ანტიეკლესიურ მოქმედებებში ამხილა საკუთარი გუნდი და ამაზე პასუხისმგებლობა აჰკიდა ბიძინა ივანიშვილს. მას ამისთვის საფუძველი აქვს.

რამდენიმე წლის წინ ბიძინა ივანიშვილმა თავის ერთ-ერთ ინტერვიუში პირდაპირ მოუწოდა ყველას, აკრიტიკონ საპატრიარქო და პირადად პატრიარქი. ამით ივანიშვილმა მწვანე შუქი აუნთო ულმერთო და ანტიეკლესიურ ძალებს. ეკლესიაზე შეტევების, მის მიმართ ფარისევლური დამოკიდებულების გამო, ასევე სამართლიანობის არააღდგენის მიზეზით გავხდი „ქართული ოცნების“ ოპონენტი. თორემ მე, როგორც სააკაშვილის რეჟიმის პოლიტპატიმარი (სინდისის პატიმრადაც მაღიარეს), უნდა ვყოფილიყავი „ქართული ოცნების“ მომხრე.

„ოცნებამ“ ციხიდან გამომიშვა. ამ ხელისუფლებამ სამართლიანობა არ აღადგინა, ნაციონალებს გაურიგდა და დამნაშავეები დაუსჯელი დატოვა. თვითონ „ოცნების“ წარმომადგენლებმა თქვეს, რომ სამართლიანობა არ აღადგინეს პოლიტიკური სტაბილურობის ინტერესის გამო.

პოლიტიკური სტაბილურობაც დაკარგეს. ეს კარგად ჩანს რუსთაველზე. პარლამენტთან დგას ნაციონალური მოძრაობა თავისი ქვედანაყოფებით და იმ პარტიებით, რომლებმაც საკუთარი თავის ლუსტრაცია მოახდინეს. დღეს ნაციონალური მოძრაობა მოითხოვს სამართლიანობის აღდგენას.

***— კონტრაქციებიც იმართება. სოსო რობაქიძემ და მისმა ორგანიზაციამ „შეინარჩუნე სიცოცხლე“ იქ კარავი დადგა. პარლამენტთან შეხლა-შემოხლაც მოხდა.***

— ეს ძალიან სამწუხაროა. სოსო რობაქიძეც შვილმოკლული მამაა და მალხაზ მაჩალიკაშვილიც. ერთს სააკაშვილის დროს მოუკლეს შვილი, მეორეს — „ოცნების“ დროს. ნაცებიცა და ქოცებიც დამნაშავეები არიან. ორივე დამპალი და მანკიერი სისტემით მართავდა ქვეყანას.

ადამიანები ერთმანეთისგან განვსხვავდებით შეხედულებებით, მაგრამ ერთმანეთი არ უნდა დავჭამოთ. ესაა „ქართული იდეის“ მოსაზრება. ქართველები ერთმანეთს არ უნდა დავერიოთ. ჩვენ ერთად მშვიდობიანად უნდა შევცვალოთ ნაც-ქოცური მანკიერი სისტემა. ერთ უხეშ შედარებას მოვიყვან. ძაღლს რომ ჯოხს ესვრი, ძაღლი ჯოხს მივარდება და ჯავრს მასზე იყრის. ჩვენ ამ ძაღლს არ უნდა დავემსგავსოთ.

***— ეს გამოვა ამ დაძაბულობის პირობებში?***

— ხომ შეგვიძლია, ერთმანეთს არ დავერიოთ? ეს ხელისუფლება სამართლიანობას არ აღადგენს. „ქართული ოცნება“ გარიგდა იმათთან, ვინც დასაჭერი იყო. სამართლიანობაც ხალხმა უნდა აღადგინოს და ნაც-ქოცურ სისტემასაც ხალხმა უნდა უთხრას უარი.

ეკლესიასთან ბრძოლა კი არც ნაცებს გამოუვიდათ და არც ქოცებს გამოუვათ. რწმენასთან ბრძოლაში ამათზე ბევრად ძლიერი იმპერატორები და დიქტატორები სასტიკად დამარცხებულან. ალექსანდრე ერქვანიაზე შეიძლება ითქვას — სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს. მან ხელისუფლება ამხილა. მთავარია, სად წავა ამის შემდეგ.

***— დამოუკიდებელი დეპუტატი იქნება.***

— ერთი კაცი, ერთი დეპუტატი ვერაფერს ცვლის. ქვეყანა უმძიმეს მდგომარეობაშია. ამ დროს პატრიოტი, პატიოსანი ადამიანების ერთობა გახდა აუცილებელი. ეს ქვეყანა რევოლუციებს ველარ გაუძლებს. ჩვენ მშვიდობიანად, არჩევნებით უნდა გამოვასწოროთ ვითარება. ყველაფერი არ ითქმის. არსებობს ქვეყნის დაშლის საფრთხე. ეს არ უნდა დავუშვათ.

***— ქუჩაში რომ ოპოზიცია დგას, ისიც ამბობს, რომ სამართლიანი არჩევნები უნდა.***

— მაგ ოპოზიციამ უკვე დაამტკიცა, როგორი „სტაბილურობა და მშვიდობა“ უნდა. გაბერილია საარჩევნო სიები. ამის გამო ნაცებიც და ქოცებიც ახერხებენ მილიონი ხმით მანიპულირებას. პირველ რიგში, გასასწორებელია სიები. საქართველოს ფარგლებს გარეთ იმყოფება უამრავი ჩვენი მოქალაქე, რომელსაც ჩამორთმეული აქვს ხმის უფლება.

***— საარჩევნო უბნები უცხოეთშიც იხსნება.***

— იხსნება ზოგან მცირე რაოდენობით. ყველაზე მეტი ჩვენი თანამემამულე რუსეთშია. ისინი არჩევანს ვერ აკეთებენ. ასევე უნდა მოვითხოვოთ ცესკოს სანდო ადამიანებით დაკომპლექტება და ხმის დათვლა ყველა უბანზე „ლაივში“. მისაღებია კანონი არჩევნებზე სავალდებულოდ გამოცხადების შესახებ. ეს შეამცირებს გაყალბებას. სამართლიანი არჩევნები უნდა მოითხოვოს სხვა ერთობამ, რომელშიც ნაცები და მათი ქვეგანყოფილებები არ არიან.

***— ნაცების ქვეგანყოფილებებში რას გულისხმობთ?***



— ივანიშვილმა, ნაციონალური მოძრაობა რომ კარგად ემართა, პარტია დაყო სექტორებად, ანუ ქვეგანყოფილებებად. აქ შედიან ევრონაცები, გირჩი და სხვა. უკანასკნელ ხანს სიტუაცია ივანიშვილსაც აერია და ამათ ყველას ველარ მართავს.

საზოგადოებას ნაციონალური მოძრაობა ისედაც აღიზიანებდა. ამ აქციების შედეგად მეტი ზიზღი დაგროვდა. ხალხში იმხელა აგრესიას ვგრძნობ, მეშინია, ნაციონალების მიმართ ფიზიკურმა ანგარიშსწორებამ მასობრივი ხასიათი არ მიიღოს და გულმოსულმა ადამიანებმა მათ ქოცებიც არ მიაყოლონ. ნაც-ქოცური სისტემა მშვიდობიანად უნდა შევცვალოთ.

***— რევოლუციის მოსურნეებიც ჩანან?***

— სწორედ ამას ვხედავ და ეს მაშინებს. ადამიანები არც ერთმანეთს უნდა დაერიონ და არც უნდა გაიყიდონ.

ეს მოწოდება პოლიტელიტას და ჩინოსნებს არ ეხება. თუ ჩავატარებთ სამართლიან არჩევნებს, ნაც-ქოცური მანკიერი სისტემა შეიცვლება. „ქართული ოცნება“, ალბათ, მეორე ადგილზე გავა, ნაცმოძრაობა კი ისე დამარცხდება, რომ პოლიტიკური ეთერებიდან გაქრება.

# ვახტანგ მაისაია: „გუბაზ სანიკიძე ზღაპრების დიდი მოყვარული ყოფილა“

გულიკო ბალაძე

**ექსპერტი სამხედრო-პოლიტიკურ და უსაფრთხოების საკითხებში ვახტანგ მაისაია „ახალ თაობასთან“ აცხადებს, რომ მსოფლიოში სიტუაცია იმდენად რთულია, რომ ჩვენ ვდგავართ ახალი გეოპოლიტიკური გამოწვევების წინაშე. ქვეყანაში კი პოლიტიკური კრიზისია.**



– ჯერჯერობით, გაერთიანებულმა ოპოზიციამ და ხელისუფლებამ ვერ მოახერხეს კონსენსუსის მიღწევა, თუმცა, შეთანხმების მისაღწევად რაღაც კონტურები შეიძლება გამოჩნდეს, – აცხადებს ვახტანგ მაისაია.

***– ბატონო ვახტანგ, თუ „ქართულ ოცნებას“ აღარ აქვს მხარდაჭერა, როგორც ამას ოპოზიცია აცხადებს, არ აქვს საკმარისი პოტენციალი, უმრავლესობისთვის საკმარისი ხმები მიიღოს. ოპოზიცია გადააგდო და მათი ავტორიტეტი დაეცა, ოპოზიციას რაღა აღელვებს, მაშინ არსებული საარჩევნო სისტემის პირობებშიც შეუძლია ხელისუფლების დამარცხება, როგორც ეს 2012 წელს მოხდა. გაერთიანებულ ოპოზიციას რის ეშინია?***

– გეთანხმებით. „ქართული ოცნება“ საარჩევნო სისტემასთან დაკავშირებით კარგად არ მოიქცა, მაგრამ იმის გათვალისწინებით, რომ სიტუაცია მძიმდება. ჩვენ ვართ ძალიან დიდი გეოპოლიტიკური გამოწვევების წინაშე, მე, მაგალითად, დავთანხმდებოდი, ისევ შერეული სისტემის პირობებში ბრძოლას, რადგან 2024 წელს მაინც პროპორციული სისტემით ჩატარდება არჩევნები, კონსტიტუციით ეს გარანტირებულია და ამას ვერც ერთი პოლიტიკური ძალა ვეღარ შეცვლის.

თუ გაერთიანებული ოპოზიცია მართლა გაერთიანებულია და მათ დიდი რესურსი გააჩნიათ, მათ შეუძლიათ ის მაჟორიტარები, ოქრიაშვილები და სხვები დაამარცხონ, რომლებიც მართლა წურბელებივით არიან ქართულ პოლიტიკურ სისტემაში. ლევან გოგიჩაიშვილს და სხვებს, რომლებიც ნამდვილი პოლიტპატიმრები იყვნენ, გამორიცხულია მოუგონ.

თუმცა, პოლიტიკური წურბელებისა და ფეოდალების (რომლებსაც ქართულ პოლიტიკაში დისონანსი შეაქვთ, წარმოადგენენ გადაგვარებულ, ატროფირებულ პოლიტიკურ სუბიექტებს) დამარცხება თავისუფლად შეიძლება.

***– ყოველ შემთხვევაში, 30 პარტიის წარმომადგენელი ზის ერთ მხარეს ოპოზიციაში. 30 პარტია ერთის წინააღმდეგ რომ მივა წინასაარჩევნო კამპანიის დროს ადამიანთან, აუხსნის, ოპოზიციის შეთავაზება თუ მოსაწონი იქნება, ამომრჩეველი გაიგებს და მხარსაც დაუჭერს.***

– ბუნებრივია. სავსებით დასაშვებად მიმაჩნია ამ პირობებში წასვლა არჩევნებზე და პოლიტიკური ბრძოლის გამართვა და გარკვეული გამარჯვების მიღწევა. მით უმეტეს, თუ მოხდება შეთანხმება მაჟორიტარულ ნაწილში ცვლილებებზე.

***– მით უმეტეს, თუ ენდიაის თუ აირაის კვლევის შედეგები, რომელიც ცოტა ხნის წინ გამოქვეყნდა, ოპოზიციის წისქვილზე ასხამს წყალს.***

– მათ კვლევებს მე სერიოზულად არ აღვიქვამ. ეს არის პროპაგანდისტულად ჩატარებული კვლევის შედეგები. მიზანმიმართული კამპანიაა. დამიჯერეთ, აირაი ეს არის აბსოლუტურად მიკერძოებული ე.წ. არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელიც აშკარად ლობირებს ნაცმოძრაობისა და ევროპული საქართველოს ინტერესებს.

***– იმ პირობებში, როდესაც კვლევებიც მათ წისქვილზე ასხამს წყალს – 41% ჰქონდა გაერთიანებულ ოპოზიციას, 23% კი „ოცნებას“. თუ ეს ასეა, რა აშინებს ამ გაერთიანებულ ოპოზიციას, გავიდეს და ყველა კომპონენტში დაამარცხებს.***

– მეც ამას ვფიქრობ, თუმცა, არ მსიამოვნებს, რომ გაერთიანებული ოპოზიციის ავანგარდში კვლავ რჩება დესტრუქციული, ავტორიტარული პოლიტიკური ძალა ევრონაცები და ნაცმოძრაობა, რომლებსაც უკვე სხვა გეოპოლიტიკური ძალები მართავენ. ცოტა ხნის წინ, ძალიან კარგი სტატია დაიწერა, ვინ არიან ამერიკელი ნეოკონსერვატორები, რომლებიც მართავენ ევროპულ საქართველოსა და მათთან ასოცირებულ არასამთავრობო ორგანიზაციებს. შესაბამისად, ნაცმოძრაობამაც უკვე თავისი თავი გაშიფრა.

***– როგორ გაშიფრა?***

– მიხეილ სააკაშვილი პირდაპირ იმართება რუსეთის ე.წ. ლიბერალური კლანის მიერ.

***– ვინ წარმოადგენს ამ კლანს?***

– ეს არის ფრიდმანი, აბრამოვიჩი და ა.შ., რომლებიც წარმოადგენენ კრემლის ე.წ. ლიბერალური ფრთის წარმომადგენლებს. მიხეილ სააკაშვილი და მისი პარტიაც პირდაპირ მათთან არის ასოცირებული.

***– როგორ?***

– ის, რომ მიხეილ სააკაშვილი ვერ ელევა გრიგოლ ვაშაძეს, რომელიც რუსულს უფრო კარგად ფლობს, ვიდრე ქართულს. ამ პიროვნების ბიოგრაფიის მქონე ადამიანი კიდევ როგორ ბედავს და მორალს როგორ გვიკითხავს. გრიგოლ ვაშაძე დღესაც კი მისტირის საბჭოთა კავშირს და წარმოადგენს რუსული ლობის ლობისტს საქართველოში. სააკაშვილისა და გრიგოლ ვაშაძის ტანდემი პირდაპირ იმართება კრემლის ლიბერალური ფრთის მიერ, რომლის შემადგენელი ნაწილია მედვედევი, ფრიდმანი და როტენბერგი. მათ შორის, „ეხო მასკვიში“ (რომელიც ამ დაჯგუფებას წარმოადგენს) გამოსვლის დროს რუსეთის საგარეო დაზვერვის მაღალი რანგის ოფიცერმა იური კობალაძემ მიხეილ სააკაშვილი მიიწვია მისთვის ყველაზე სასურველ პოლიტიკურ ლიდერად.

***– ეს რას ნიშნავს?***

– რუსეთის საგარეო დაზვერვის მაღალი რანგის ოფიცერს მიხეილ სააკაშვილი საქართველოში ყველაზე სასურველ პოლიტიკოსად მიაჩნია. იური კობალაძე იყო ევგენი პრიმაკოვის მარჯვენა ხელი. როდესაც ევგენი პრიმაკოვი იყო რუსეთის საგარეო დაზვერვის შეფი, იური კობალაძე იყო რუსეთის საგარეო დაზვერვის საინფორმაციო სამსახურის უფროსი, გენერალ- ლეიტენანტი – მართალია გადამდგარი, მაგრამ, როგორც წესი, საგარეო დაზვერვაში გადამდგარი ოფიცრები არ არსებობენ.

როდესაც რუსეთის საგარეო დაზვერვის შეფი მისთვის სასურველ პოლიტიკურ ფიგურად სააკაშვილს მიიჩნევს, ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, თუ ვის ძალებს წარმოადგენს მიხეილ სააკაშვილი.

***– მთელმა ქვეყანამ ნახა ის კადრები, როცა გუბაზ სანიკიძე და ვალერი გელბახიანი თავიანთ შვილებთან ერთად მიხეილ სააკაშვილს უკრაინაში რომ ეწვივნენ. შემდეგ გუბაზ სანიკიძემ განაცხადა, რომ მიხეილ სააკაშვილს უკრაინაში ზელენსკი ძალიან მაღალ თანამდებობას შესთავაზებს. ზელენსკიმ სუფრა მოუწყო სააკაშვილს და იქ გადაწყდა ეს საკითხიო.***

– მიხელ სააკაშვილს უკრაინაში საკმაოდ საინტერესო პოლიტიკური ფსევდონიმი აქვს. სააკაშვილს უკრაინაში ადგილობრივი მასმედიისა და პოლიტიკური წრეების წარმომადგენლებმა ბარონი მიუნჰაუზენი შეარქვეს. სხვათა შორის, მიხეილ სააკაშვილს წამოსცდა, მე არც პინოქიო ვარ და არც ბარონი მიუნჰაუზენიო. მას პინოქიო მე შევარქვი.

***– ამით რის თქმა გინდათ?***

– აღარ გავაკეთებ კომენტარს, გუბაზ სანიკიძისა და ვალერი გელბახიანის უკრაინაში ჩასვლაზე. რა პოლიტიკური შოუ იყო, ეს ცალკე საუბრის თემაა. დარჩნენ საკუთარ სინდისთან.

***– იქნებ სინდისი არაფერ შუაშია და, უბრალოდ, ლუსტრაცია მოხდა.***

– გეთანხმებით, ლუსტრაცია მოხდა. აქ საინტერესო მომენტია – ვალერი გელბახიანი ასლან აბაშიძის პოლიტიკური მრჩეველი იყო.

***– როგორც ვიცი, მისი პარტიის სიით გასული დეპუტატი იყო.***

– მრჩეველიც იყო და მისი პოლიტიკური ორგანიზაციის ერთ-ერთი ლიდერი გახლდათ.

***– პატარკაციშვილის საარჩევნო შტაბის უფროსიც იყო.***

– ასლან აბაშიძე წერს, რომ აქვს რუსეთის შეიარაღებული ძალების გენერალ-მაიორის სამხედრო წოდება. მიხელ სააკაშვილი თავის თანამებრძოლებს შეხვდა. ასლან აბაშიძე რომ აპირებს საქართველოში დაბრუნებას, ესეც საეჭვოდ დაემთხვა. ეს ყველაფერი, მგონი, ერთი ჯაჭვია, მაგრამ სხვა რამ მინდა ვთქვა – თუ გუბაზ სანიკიძე იჯერებს უკრაინაში ბარონ მიუნჰაუზენად შერაცხულის ზღაპრებს, მაშინ კარგად ჰქონია საქმე.

რა მაღალ თანამდებობაზეა საუბარი, როდესაც უკრაინის საკონსტიტუციო სასამართლომ ძალაში დატოვა მიხეილ სააკაშვილის უკრაინიდან გაძევების გადაწყვეტილება. სად არის აქ ლოგიკა? გუბაზ სანიკიძე ზღაპრების დიდი მოყვარული ყოფილა, თუ იჯერებს ბარონ მიუნჰაუზენად წოდებული პიროვნების ზღაპრებს და ჩვენ რეალობად გვისაღებს.

***– კარასინმა განაცხადა, რომ საქართველოში რუსული კულტურის ცენტრის გახსნა იგეგმება. ხელისუფლება ამას უარყოფს.***

– რაღაც საგანწყობო ცენტრის გახსნაზეა საუბარი.

***– „საგანწყობო ცენტრი“ რას ნიშნავს?***

– რუსული ენის სწავლებისა და კულტურის ცენტრი უნდათ გახსნან.

***– დესტრუქციული ძალა ახსენეთ, დესტრუქციის ნიშნები იყო. განცხადებებიც გაკეთდა. თუ კვლევები სწორია, მაშინ რატომ უნდა მიჰყავდეთ საქმე დაპირისპირებისკენ?***

– არ ვიცი. ასეთ პირობებში მათ შეუძლიათ წარმატების მიღწევა.

***– თუმცა, გასათვალისწინებელია ისიც, რომ არც ნაცმოძრაობის ჩადენილი დანაშაულობები დავიწყებია ამომრჩეველს.***

– რასაკვირველია. სანამ პოლიტიკურ ასპარეზს არ ჩამოცილდება ორი პოლიტიკური ძალა – ევროპული საქართველო და ნაცმოძრაობა, მანამ საშველი არ იქნება. ასეთი ოპოზიცია იქნება ამ ორი დესტრუქციული ძალის ელექტორატის ხარჯზე. ეს არის ფაქტი.

***– ანუ ქართული პოლიტიკური სპექტრი ამ ორი გაყოფილი ძალის ტყვეობაშია?***

– აბსოლუტურად. სანამ ეს ორი ძალა არ ჩამოცილდება, მანამ არასაპარლამენტო ოპოზიციას არაფერი ეშველება.

## ფოთის ყოფილ მერს, ირაკლი კაკულიას და კიდევ 2 პირს პროკურატურამ ბრალი წაუყენა



სამეგრელო-ზემო სვანეთის საოლქო პროკურატურამ სახელმწიფო ბიუჯეტის კუთვნილი თანხების უკანონოდ დაუფლების ფაქტზე ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს (ქ. ფოთის მუნიციპალიტეტის ყოფილი მერი) ირაკლი კაკულიას, ქ.ფოთის მუნიციპალიტეტის მშენებლობის, ინფრასტრუქტურის, ტრანსპორტის, კეთილმოწყობის, ურბანული განვითარების, არქიტექტურისა და ადმინისტრაციული ზედამხედველობის სამსახურის ყოფილ უფროსს ზ.ყ.-ს და შ.პ.ს „კუნძულის“ დირექტორს ე.ღ.-ს ბრალდება წარუდგინა.

საქმეზე ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ ქ. ფოთის მუნიციპალიტეტის მერის თანამდებობაზე მუშაობის დროს ი.კ.-მ და ამავე მუნიციპალიტეტის სამსახურის უფროსმა ზ.ყ.-მ საჯარო ინტერესის საწინააღმდეგოდ, ბოროტად გამოიყენეს სამსახურებრივი უფლებამოსილება და შ.პ.ს. „კუნძულის“ დირექტორის ე.ღ.-ს უპირატესობა მიანიჭეს, რამაც სახელმწიფოს კანონიერი ინტერესების არსებითი დარღვევა გამოიწვია. კერძოდ, ფოთის თეატრის მშენებლობის სამუშაოების შესრულების დროს, საჯარო მოხელეებმა – ი.კ.-მ და ზ.ყ.-მ, ყალბად დამზადებული მიღება-ჩაბარების აქტებით, თითქოსდა სამუშაოებმა 9.102.139.71 ლარი შეადგინეს, სამუშაოები ჩათვალეს შესრულებულად და ჩაიბარეს, მაშინ როდესაც, რეალურად შესრულებული იყო 359.222.81 ლარით ნაკლები სამუშაო.

აღნიშნული ქმედებით ი.კ. და ზ.ყ., სამუშაოების შემსრულებელი კომპანიის დირექტორს ე.ღ.-ს სახელმწიფო ბიუჯეტის კუთვნილ 359.222.81 ლარის უკანონოდ დაუფლებაში დაეხმარნენ, რამაც სახელმწიფოს კანონიერი ინტერესის არსებითი დარღვევა გამოიწვია.

სისხლის სამართლის საქმეზე გრძელდება გამოძიება. ბრალდებულების მიერ ჩადენილი ქმედება სასჯელის სახედ და ზომად 7-დან 11 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

## ილია ჯიშკარიანის დაცვის მხარის 22 მტკიცებულება სასამართლომ დაუშვებლად ცნო



თბილისის საკრებულოს დეპუტატის ილია ჯიშკარიანის დაცვის მხარის 22 მტკიცებულება სასამართლომ დაუშვებლად ცნო.

გუშინ, 11 დეკემბერს, თბილისის საქალაქო სასამართლოში თამთა თოდაძის საქმესთან დაკავშირებით წინასასამართლო პროცესი გაიმართა.

„რუსთავი 2“-თან საუბრისას თამთა თოდაძის ადვოკატი თამარ ლუკავა ამბობს, რომ სასამართლომ მტკიცებულებათა დაუშვებლად ცნობის მოტივაციად მისი კანონის არსებითი დარღვევით მოპოვება დაასახელა.

საქმის არსებითი განხილვა სასამართლოში 25 დეკემბერს ჩაინიშნა.

შეგახსენებთ, რომ თამთა თოდაძე თბილისის საკრებულოს „ქართული ოცნების“ დეპუტატს, ილია ჯიშკარიანს, სექსუალური ძალადობის მცდელობასა და ფიზიკურ ძალადობაში ადანაშაულებს.

პროკურატურამ თამთა თოდაძე დაზარალებულად 8 ოქტომბერს ცნო, ხოლო დეპუტატ ილია ჯიშკარიანს ბრალი წარუდგინა.

## ლუკა კალანდია: „სასამართლოს სხდომები ღია რომ იყოს, საზოგადოებას ეცოდინებოდა, რა მოხდა ხორავას ქუჩაზე“

ზაზა სარალიძის განცხადებები იმის თაობაზე, რომ თურმე, კალანდიები მოწმეებზე ვახორციელებთ ზემოქმედებას და თანაც, ამას ვახერხებთ სასამართლო დარბაზში შესვლამდე, აგონიაში ჩავარდნილი კაცის მდგომარეობაა და სხვა არაფერი.

ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ ხორავას ქუჩაზე დავით სარალიძის ჯგუფურად განზრახ მკვლელობის ბრალდებით დაკავებული მიხეილ კალანდიას ძმამ, ლუკა კალანდიამ განუცხადა.

როგორც კალანდია განმარტავს, საქმეზე დაკითხულმა მოწმეებმა ვერ დაადასტურეს მიხეილ კალანდიას რაიმე როლი დამდგარ უმძიმეს შედეგში.

– შეუძლებელია სასამართლო დარბაზში შესვლამდე არა თუ მოწმეებზე ზემოქმედება, არამედ რაიმე სახის რეპლიკაც კი. ეს შეუძლებელია შეუმჩნეველი დარჩეს სასამართლო მანდატურისათვის, რომელიც მუდმივად დგას იმ სხდომის დარბაზთან, სადაც ჩემი ძმის საქმის განხილვა მიმდინარეობს.

მოვუწოდებ ზაზა სარალიძეს, დაასახელოს თუნდაც ერთი ფაქტი, სად, როდის და რა ვითარებაში ახორციელებენ კალანდიები მოწმეებზე ზეწოლას.

სარალიძისაგან აღნიშნული განცხადების გაკეთება გამომდინარეობს იმ გარემოებიდან, რომ საქმეზე დაკითხულმა მოწმეებმა (უკვე 80 მოწმეა დაკითხული) ვერანაირად ვერ დაადასტურეს მიხეილ კალანდიას რაიმე როლი დამდგარ უმძიმეს შედეგში, პირიქით იკვეთება სახელმწიფო უფლებამოსილი ორგანოების არასათანადო ქმედებები, რის გამოც ვერ დგინდება ამ საქმეზე სიმართლე.

ასევე ცალსახადაა გამოკვეთილი გარემოება, რომ სკოლაში დაწყებული ბულინგი მოგვარდა შერიგებით მხარეებს შორის, ხოლო როდესაც მხარეებს ხელის




ჩამორთმევით უნდა დაემთავრებინათ ეს ყოველივე, მყისიერად ახალი კონფლიქტი სწორედ დათო სარალიძემ წამოიწყო, რასაც მოყვა სიგარეტის ნამწვავის სახეში სროლა მსჯავრდებულ გ.ჯ.-ს მისამართით და ფიზიკური შეურაცხყოფა დავით სარალიძის ერთ- ერთი მეგობრისაგან ისევ გ.ჯ.-ს მიმართ.

რაც არ უნდა ვილაცისათვის კატასტროფული იყოს ეს ინფორმაცია, მისი გაგრძელება კიდევ უფრო უბედურება იყო – დათო სარალიძის მოქნეული ხელი ისე მწარედ მოხვდა მისსავე კლასელს, რომელმაც შერიგებით დაამთავრა ყველაფერი, რომ მან წამიერად დაკარგა გონება და ვეღარ შეძლო მისი აგრესიის შეკავება გ.ჯ-ს მიმართ.

სწორედ ამ სიმართლის გაგონება არ უნდა პოლიტიკური ძალებისაგან მართულ ადამიანებს. ამ ჭეშმარიტების გამომზეურებას ხელს უშლის დახურული სასამართლო პროცესები.

სწორედ ეს რეჟიმი იწვევს საზოგადოების ბუნდოვნებას და ეს ყოველივე მართულია კიდევაც გარკვეული ძალების მხრიდან. რომ არა დახურული სასამართლო სხდომები, საზოგადოებას უკვე ექნებოდა ჭეშმარიტი რეალური სურათი თუ რა მოხდა ხორავას ჭ4-ში, – აცხადებს ლუკა კალანდია.

## ბორის ჯონსონმა მოსახლეობას რძე დაურიგა




ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა ბორის ჯონსონმა დასავლეთ იორკშირის მოსახლეობას რძე დაურიგა.

ბორის ჯონსონმა „რძის დამტარებელი კაცის“ როლი წინასაარჩევნო კამპანიის ფარგლებში, ქვეყანაში დაგეგმილ ვადამდელ საპარლამენტო არჩევნებამდე ერთი დღით ადრე მოირგო.

ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ კონსერვატორები თითოეული ხმისთვის იბრძვიან, ვინაიდან არსებობს იმის რისკი, რომ პარლამენტში უმრავლესობა ვერც ერთმა ძალამ ვერ მოიპოვოს.

– არ შეიძლება ქვეყანაში გვქონდეს მეტი პასიურობა, გაჭიანურება, პარალიზება, – განაცხადა ბორის ჯონსონმა და დასძინა, რომ ლეიბორისტების პოლიტიკა ქვეყნისთვის ეკონომიკური კატასტროფა იქნება.

– ჩვენ წინ უნდა ვიაროთ, ჩვენ გვაქვს ფანტასტიკური დღის წესრიგი ქვეყნისთვის, ჩვენ შეგვიძლია ბრექსითის განხორციელება, – განაცხადა ბორის ჯონსონმა.

## არგენტინას ახალი პრეზიდენტი ჰყავს



არგენტინას ახალი პრეზიდენტი ჰყავს. ალბერტო ფერნანდესის ფიცის დადების ცერემონიალი უკვე გაიმართა.

60 წლის მემარცხენე-ცენტრისტი პოლიტიკოსი ლათინური ამერიკის სიდიდით მესამე ეკონომიკის მქონე ქვეყანას მომდევნო ოთხი წლის მანძილზე უხელმძღვანელებს.

არგენტინის ახალ პრეზიდენტს ქვეყანაში შექმნილი ეკონომიკური პრობლემების მოგვარება მოუწევს, მათ შორის ინფლაციის შემცირება და სიღარიბის დონის ზრდის შეჩერება.

ალბერტო ფერნანდესმა მაურისიო მაკრი ჩაანაცვლა, რომელიც ასევე ოთხი წელი იკავებდა არგენტინის პრეზიდენტის პოსტს.

## ამერიკელმა კონგრესმენებმა ტრამპს ბრალდება წაუყენეს



აშშ-ის პრეზიდენტის იმპიჩმენტის გამოცხადების საკითხი გადამწყვეტ ფაზაში შევიდა. კონგრესმენებმა ტრამპს წაუყენეს ბრალდება, რომელიც ორი პუნქტისაგან შედგება. პირველი თანამდებობის ბოროტად გამოყენებაა, მეორე – კონგრესისთვის გამოძიებაში ხელის შეშლა.

– ორივე პუნქტი დასაბუთებულად შეიძლება ჩაითვალოს, – აცხადებს კონგრესის დაზვერვის საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე ადამ შიფრი.

ტრამპი კი ბრალდებებს კვლავ უარყოფს და აცხადებს, რომ ცილს სწამებენ.

– დემოკრატებს სურთ, სახელი გამიტეხონ და არჩევნებში გაიმარჯვონ! სხვა გზა მათ ელემენტარულად აღარ დარჩათ! – თქვა ტრამპმა.

*მოამზადა ნიკა თევზაძემ*

### კალეიდოსკოპი

## ლაბრადორი ბავშვს სასწრაფოს გამოძახებასა და პატრონის გადარჩენაში დაეხმარა



ინგლისის ლანკაშირის საგრაფოს ქალაქ პრესტონში ძაღლი ექვსი წლის ბავშვს, როდესაც მისი პატრონი კიბიდან ჩამოვარდა, სასწრაფო დახმარების გამოძახებაში დაეხმარა.

36 წლის მია ელერი საკუთარი სახლის კიბიდან ჩამოვარდა და დამოუკიდებლად ფეხზე წამოდგომას ველარ ახერხებდა, ვერ ინძრეოდა და ხელებს ველარ გრძნობდა. ის შველას ითხოვდა, მაგრამ ამ დროს მისი ექვსი წლის გოგონა ჰონორი მულტფილმს ყურსასცმებით უყურებდა და დედის ძახილი არ ესმოდა.

მაშინ მიამ თავის ძაღლს, სახელად ბენტლის, სთხოვა, რომ მისი ქალიშვილი მოეყვანა. ლაბრადორი სასტუმრო ოთახში შევარდა და გოგონას ყურსაცმები ძალით მოხსნა, შემდეგ კი ტანსაცმელზე მანამდე ექაჩებოდა, სანამ ის არ ადგა და ოთახიდან არ გამოვიდა.

შემდეგ ძაღლმა პატრონის ტელეფონი მოძებნა და გოგონამ სასწრაფო გამოიძახა. ძაღლი მიას ექიმების მოსვლამდე გვერდიდან არ მოსცილებია. ქალი საავადმყოფოში ზურგისა და ხერხემლის დაზიანებებით მოათავსეს.

მიამ თავის ლაბრადორს მადლობა გადაუხადა და აღიარა, რომ დიდი ხნის წინ მაცივრიდან ლუდის გამოღება და მისთვის მიტანა ასწავლა. ასევე ბენტლის მისთვის მიჰქონდა ტელევიზორის პულტი და მობილური ტელეფონი, ვინაიდან დივანიდან წამოდგომა არ უყვარდა.

## განძის მაძიებელმა მდინარეში რეკორდული ზომის თვითნაბადი ოქროს ზოდი იპოვა



შოტლანდიაში საგანძურზე მონადირემ მდინარის ფსკერზე დიდ ბრიტანეთში ყველაზე დიდი თვითნაბადი ოქროს ზოდი იპოვა.

22-კარატიანი ოქროს ზოდი, რომელიც ანონიმმა განძის მაძიებელმა იპოვა, 80 ათას ფუნტ სტერლინგად არის შეფასებული. ვინაიდან თვითნაბადი ზოდი ორ ნაწილად იყო გაყოფილი, მას „თვითნაბადის შერწყმა“ უწოდეს. ორივე ფრაგმენტი ერთმანეთს იდეალურად ერწყმის და მრგვალ ფორმას წარმოქმნის შუაში პატარა ხვრელით.

– ერთად ისინი ფუნთუშას ჰგვანან, – განაცხადა წიგნის „ბრიტანეთის ოქროს“ ავტორმა ლი პალმერმა, – ამ დროისთვის ის ყველაზე დიდი თვითნაბადი ზოდია დღემდე არსებულთა შორის. მას მინარევები არ აქვს, რაც უნიკალური მოვლენაა.

განძის მაძიებელმა ოქროს ზოდი მდინარეში წყალქვეშ ჩასაყვინთი მოწყობილობით ჩაყვინთვის დროს იპოვა. ამასთან, მის მეორე ნაწილს პირველის პოვნიდან ნახევარ საათში მიაგნო. ორივე ნაწილი ერთმანეთისგან 30 სანტიმეტრის დაშორებით მდებარეობდა.

– ზოდში ხვრელი, სავარაუდოდ, კლდეზე დარტყმის შედეგად გაჩნდა, – ივარაუდა პალმერმა. იღბლიანმა განძის მაძიებელმა და მიწის მფლობელმა, სადაც განძი იპოვეს, ვინაობის გამხელა არ ისურვეს.

პალმერი ამტკიცებს, რომ თვითნაბადი ოქროს ზოდი შესაძლოა შოტლანდიის ეროვნულმა მუზეუმმა ან ინგლისის ბუნებისმცოდნეობის მუზეუმმა გამოისყიდონ, ან „სამეფოს სახელმწიფო ქონების“ სტატუსი მიიღოს.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

## მაია კიკაბიძე: „მიმიფურთხებია იმ „ხელოვანებისთვის“, ვინც ზაზა ურუშაძეს გაუხეთქა გული“



ამ განცხადების ავტორი რეჟისორი და მხატვარი მაია კიკაბიძეა:

– მიმიფურთხებია იმ „ხელოვანებისთვის“, ვინც ზაზა ურუშაძეს გაუხეთქა გული, დადუმებული ხართ და თავს იკავებთ, ხელს აფარებთ იმ ნაძირლებს, რომლებმაც გააგდეს ზაზა თავისი ადგილიდან. ფუ, თქვენს ადამიანობას.

ფეხებზე მკიდიხართ ხოტივარო, შენგელაია, ჯაჭვლიანო, ანჯაფარიძე, თქვე ნაძირალა მოარულო ბებრუხანებო, მკვლელები ხართ! გასვენებაზე თავის აქეთ-იქით ქნევა არ გამოგრჩეთ, უი, უის ძახილით, ფუ!

ჯანსულ ჩარკვიანს ნაძირალა ამაშუკელმა რომ გაუხეთქა გული თავისი არაკაცობით, ზაზა ურუშაძეს ამ დამპლებმა და ხმას რომ არავინ იღებთ არასოდეს და არ აფურთხებთ სახეში ასეთებს, ყველა დამნაშავე ხართ! მშიშრებო ყველა! შეეტენეთ, ვაზელინი იაფია!

შეგშურდათ ხო მისი ოსკარზე წარდგენა და ნელ-ნელა მოკალით. ფუ თქვენი!

## ჩაძირული გემის მეზღვაურები მაცივარმა გადაარჩინა



ორმა მეზღვაურმა მექსიკის ტაბასკოს შტატიდან, ოკეანეში მოტივტივე მაცივარი ნავივით გამოიყენა მას შემდეგ, რაც მათი გემი ჩაიძირა.

თევზსაჭერი ხომალდი „ადრიანა“ სან-პედროდან თევზის დასაჭერად იყო გამოსული. მეორე დღეს ადგილობრივმა ხელისუფლებამ მიიღო შეტყობინება იმის შესახებ, რომ „ადრიანა“ სანახევროდ ჩაძირული შენიშნეს.

ეკიპაჟის გადასარჩენად გაიგზავნა ხომალდი სახელწოდებით „დეფენდერი“, ჰაერიდან კი მეზღვაურებს შვეულმფრენი ეძებდა.

მალე მაშველებმა ოკეანეში მოტივტივე მაცივარი შენიშნეს, რომელშიც ორი მამაკაცი იჯდა. მაცივარს კარი არ ჰქონდა და ამიტომ მან მეზღვაურებს ნავის მაგივრობა გაუწია.

მაშველებმა გადარჩენილები „დეფენდერზე“ აიყვანეს. მათ ეს მომენტი ვიდეოზე გადაიღეს. მეზღვაურები პორტში გადაიყვანეს, სადაც მათ სასწრაფო დახმარება ელოდათ. ისინი საავადმყოფოში მოათავსეს.

## მზექალა შანიძე გვირჩევს, ბევრი ვიკითხოთ



ენათმეცნიერი მზექალა შანიძე გვირჩევს, რომ ქართულად ბევრი ვიკითხოთ:

– ენა კი არ არის გაღარიბებული – ენა ინარჩუნებს იმას, რაც იყო... მისი მოხმარებაა გაღარიბებული...

ენა კი არ გაღარიბდა, ენა გააღარიბეს იმათ, ვინც ეს ენა არ იცის. იმისთვის, რომ ენა იცოდნენ, უნდა იკითხონ ამ ენაზე დაწერილი ლიტერატურა, არა მარტო რომანები, არამედ, მეცხრამეტე საუკუნის პუბლიცისტიკა, ასევე, ძველი ქართული ტექსტები. რა თქმა უნდა, ბევრი კითხვა ყველა პრობლემას ვერ გადაწყვეტს, მაგრამ ერთ-ერთი ძირითადი კომპონენტია.

მე მგონი, მეტ-ნაკლებად განათლებული ყველა ადამიანი პროგრესის ერთგული უნდა იყოს. სიახლე მოდის ცხოვრებაში და ის აუცილებელია. არ შეიძლება, ადამიანი მარტო წარსულში იყოს. ერთხელ ერთ სამინისტროში ლაპარაკობდნენ ტრადიციების დაცვაზე ისე, რომ მინისტრს ვუთხარი, ასე მგონია, ჩიხტიკოპი მახურავს და ჭრაქით განათებულ ქოხში ვზივარ-მეთქი.

და ძირითადად, პროგრესი ადამიანის სულიერ ცხოვრებაში უნდა იყოს. ჩვენ უნდა დავძლიოთ წარსულის ზედმეტი იდეალიზაცია, წინ გახედვის უუნარობა, უნდა შევიძინოთ შრომის კულტურა. ეს ყველაფერი პროგრესია, აბა, რა არის.

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*


## განცხადებები

### ჯანმრთელობა, მკურნალობა

● კუჭ-ნაწლავის არასწორი კვებით გამოწვეული დარღვევებისგან: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან თავის დაღწევა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება, ღვიძლის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, გამოკვლევები უახლესი აპარატურით 15 წუთში, გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ეკოპრეპარატებით და ეკოსანთლებით. შედეგები მყარია, უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: სამსახ. 247-58-83 ან 571-72-03-11.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის თავიდან აცილება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, ღვიძლის გაწმენდა, სხეულის წონის კორექცია: დაკლება 5-დან 20 კგ-მდე, მომატება 2-დან 6 კგ-მდე თვეში. გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ბიოპრეპარატებით. უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: 577-29-37-41 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-6 სმ-ის მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა-დანიშნულება ინდივიდუალურია და გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე (26 წლამდე). ასევე გახდომა სწორი კვებით აკრძალვების გარეშე, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებით კურსით 5-18 კგ-ის დაკლებით. წონის მომატება კურსით 1-5 კგ-მდე. სწრაფად და ეფექტურად იმუნიტეტის გაძლიერებით. მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით. ტელ: 599-72-21-48 ან 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● მამაკაცებისგაჯანსაღებისცენტრი – სქესობრივი უძლურებისა და შარდსასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-სტაბილიზაცია-პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი, ქავილი, გაორებული შარდის ნაკადი, უნებლიე შარდვა (ბავშვებშიც), ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციისგან გაწმენდა. რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება, გაჯანსაღება ეკო-ბიო-მცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. უკუჩვენების გარეშე. მყარი, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● ძვალ-სახსართა ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოქონდროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრული ართრიტით, მაანკილოზირებული სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, კრუნჩხვების და შეზღუდულობის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე გაჯანსაღება უკვე ნაოპერაციები სახსრების ძვლის მკვებავი 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, სისხლძარღვების ქოლესტერინისგან გაწმენდით, 22-წლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-90-54-78 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების მოხსნა და აცილება, ნევროზის, დეპრესიის, უძილობის, აკვიატების, აგრესიით, „თეთრი ცხელების“, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების დარეგულირება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე, სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან, პოტენციის და იმუნიტეტის აწევა, შარდის აქტის მოშლისა და ენურეზისაგან განთავისუფლება, გაჯანსაღება ეკობიოპრეპარატებით. საჭირო კვლევები უახლესი აპარატურით (15 წუთში), 22-წლიანი გამოცდილებით, უკუჩვენებათა გარეშე, მყარი შედეგები. სუპერმენეჯერი ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 599-72-21-38 ან 234-02-38.

# ჩემპიონთა ლიგის ოთხ ჯგუფში ყველაფერი გაირკვა



### E ჯგუფი

**ზალცბურგი-ლივერპული 0:2**

**ზალცბურგი. რედ ბული**

0:1 კეიტა (57), 0:2 სალაჰი (58)

ჯგუფში ძალზე დაძაბული სიტუაცია იყო – ზალცბურგი გამარჯვების შემთხვევაში გასული სეზონის გამარჯვებულს ტიტულის დასაცავად გზას უკეტავდა, მაგრამ, საბოლოოდ, ყველაფერი ლოგიკურად დასრულდა.

ფლეი ოფში ლივერპული გავიდა, ხოლო ზალცბურგმა ევროპალიგის ფლეი ოფში გადაინაცვლა.

მართალია, ლივერპულმა პირველ ტაიმში ვერაფერი მოუხერხა მეტოქეს, მაგრამ შესვენების შემდეგ მარწუხებს უფრო მოუჭირა და 2 წუთში 2 გოლი გაიტანა. ანგარიში ნაბი კეიტამ გახსნა, რომელსაც იდეალური საგოლე პასი სადიო მანემ გაუკეთა. კიდევ ერთ წუთში მოჰამედ სალაჰმა მეკარეს შეცდომა არ აპატია და იუველური სიზუსტით შეაგდო.

დარჩენილ დროში მერსისაიდელები თამაშს აკონტროლებდნენ და საქმე მშვიდად მიიყვანეს გამარჯვებამდე.

**ნაპოლი-გენკი 4:0**

**ნეაპოლი. სან პაოლო**

1:0, 2:0, 3:0 მილიკი (3, 26, 38პ), 4:0 მერტენსი (75პ)

ნეაპოლში ყველაფერი მარტივად გაირკვა – კარლო ანჩელოტის შეგირდები პირველივე ტაიმში არკადიუშ მილიკის ჰეთ თრიკის წყალობით დაწინაურდა, რასაც მეორეში დრის მერტენსის გოლი მოჰყვა – 4:0.

ისიც უნდა ვთქვათ, რომ მიუხედავად მოგებისა, კარლო ანჩელოტი თანამდებობიდან გაათავისუფლეს და მის ნაცვლად ჯენარო გატუზო იმუშავებს.

**საბოლოო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ლივერპული | 6 | 4 | 1 | 1 | 13-8 | 13 |
| 2.ნაპოლი | 6 | 3 | 3 | 0 | 11-4 | 12 |
| 3.ზალცბურგი | 6 | 2 | 1 | 3 | 16-13 | 7 |
| 4.გენკი | 6 | 0 | 1 | 5 | 5-20 | 1 |

### F ჯგუფი

**ინტერი-ბარსელონა 1:2**

**მილანი. სან სირო**

0:1 პერესი (23), 1:1 ლუკაკუ (44), 1:2 ფატი (86)

ბარსელონას ვადამდე ჰქონდა განაღდებული ფლეი ოფის საგზური, ამიტომაც მილანში შესუსტებული შემადგენლობით ჩავიდა. ინტერს კი შემდეგ ეტაპზე გასასვლელად მხოლოდ მოგება სჭირდებოდა, მაგრამ უმოტივაციო მეტოქესთან დამარცხდა.

„ბლაუგრანა" კარლეს პერესმა დააწინაურა, რომელმაც ვიდალის პასი გამოიყენა და ჰანდანოვიჩს ახლო მანძილიდან გაუტანა. ინტერმა 44-ე წუთზე რომელუ ლუკაკუს გოლით გაათანაბრა, თუმცა ცვლილებაზე შემოსულმა ანსუ ფატიმ ბარსელონა კიდევ ერთხელ დააწინაურა და მატჩის საბოლოო ანგარიში დააფიქსირა.

ფატი გახდა ყველაზე ახალგაზრდა მოთამაშე ჩემპიონთა ლიგის ისტორიაში (17 წლისა და 40 დღის), რომელმაც გოლის გატანა მოახერხა. აქამდე რეკორდი პიტერ ოფორი-კუაიეს ეკუთვნოდა – განელმა თავდამსხმელმა 1997 წლის 1 ოქტომბერს, ოლიმპიაკოსის ფორმით რუსენბორგს (1:5) გაუტანა და მაშინ 17 წლისა და 195 დღის გახლდათ.

**დორტმუნდი-სლავია 2:1**

**დორტმუნდი. სიგნალ იდუნა პარკი**

1:0 სანჩო (10), 1:1 სოუჩეკი (43), 2:1 ბრანდტი (61)

**გაძევება:** ვაიგლი (77, დორტმუნდი)

ანსუ ფატის გოლი დორტმუნდშიც ძალიან გაუხარდათ, რადგან ბარსელონას გამარჯვებამ, დორტმუნდის ბორუსიას ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალში გზა გაუხსნა. თავად დორტმუნდმა კი საკუთარი გასაკეთებელი საქმე გააკეთა – 2:1 მოუგო პრაღის სლავიას და ჯგუფში მე-2 ადგილი დაიკავა.

**საბოლოო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბარსელონა | 6 | 4 | 2 | 0 | 9-4 | 14 |
| 2.დორტმუნდი | 6 | 3 | 1 | 2 | 8-8 | 10 |
| 3.ინტერი | 6 | 2 | 1 | 3 | 10-9 | 7 |
| 4.სლავია | 6 | 0 | 2 | 4 | 4-10 | 2 |

### G ჯგუფი

**ბენფიკა-ზენიტი 3:0**

**ლისაბონი. და ლუში**

1:0 ჩერვი (47), 2:0 პიცი (58პ), 3:0 აზმუნი (79სკ)

**გაძევება:** დუგლას სანტოსი (56, ზენიტი)

ამ ჯგუფში ყველაფერი არეული იყო. ლაიფციგის გარდა, არავინ იცოდა, ჯგუფში რომელ ადგილზე გავიდოდა. მატჩები პარალელურ რეჟიმში მიმდინარეობდა და ორივე შეხვედრის დასრულებამდე 10 წუთით ადრე ზენიტი ჩემპიონთა ლიგის ფლეი ოფში იყო. არადა, ამ დროს ბენფიკა 3:0-ს იგებდა. საბოლოოდ ისე მოხდა, რომ ზენიტი ბოლოზე დარჩა, ხოლო ბენფიკა მე-3 ადგილზე გავიდა და ევროპალიგაზე გადაინაცვლა.

**ლიონი-ლაიფციგი 2:2**

**ლიონი. ჟიუაპამა**

0:1 ფორსბერგი (9პ), 0:2 ვერნერი (33პ), 1:2 აუარი (50), 2:2 დეპაი (82)

უმოტივაციო ლაიფციგი 2 ბურთით უგებდა ლიონს და ამით საქმეს ზენიტს უკეთებდა, მაგრამ ფრანგებმა ბოლომდე იბრძოლეს, მეტოქეს თამაში შემოუტრიალეს, სასურველ ფრეს მიაღწიეს და მერვედფინალში გავიდნენ.

**საბოლოო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ლაიფციგი | 6 | 3 | 2 | 1 | 10-8 | 11 |
| 2.ლიონი | 6 | 2 | 2 | 2 | 9-8 | 8 |
| 3.ბენფიკა | 6 | 2 | 1 | 3 | 10-11 | 7 |
| 4.ზენიტი | 6 | 2 | 1 | 3 | 7-9 | 7 |

### H ჯგუფი

**აიაქსი-ვალენსია 0:1**

**ამსტერდამი. იოჰან კრუიფი**

0:1 როდრიგო (24)

**გაძევება:** პაულისტა (90+3, ვალენსია)

შარშანდელი სეზონის აღმოჩენა აიაქსმა ყველაფერი გააკეთა, რომ ჩემპიონთა ლიგის ფლეი ოფში ვერ გასულიყო. ნიდერლანდელებს ფრეც ჰყოფნიდათ იოჰან კრუიფის სტადიონზე, მაგრამ მოულოდნელად 0:1 დამარცხდნენ და ევროპა ლიგაზე გადაერთვებიან, ხოლო „ღამურები" ჯგუფში პირველ ადგილზე გავიდნენ და ყველაზე პრესტიჟულ ევროპულ ტურნირზე აგრძელებენ ბრძოლას.

**ჩელსი-ლილი 2:1**

**ლონდონი. სტემფორდ ბრიჯი**

1:0 აბრაჰამი (19), 2:0 ასპილიკუეტა (35), 2:1 რემი (78)

ჩელსის საერთოდ არ აინტერესებდა პარალელური მატჩი – თავად თუ მოიგებდა, აიაქსი-ვალენსიას შედეგი მათთვის მნიშვნელობას კარგავდა. ასეც მოხდა – ლონდონელებმა აუტსაიდერ ლილს 2:1 მოუგეს და ჯგუფში მე-2 ადგილი დაიკავეს.

**საბოლოო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ვალენსია | 6 | 3 | 2 | 1 | 9-7 | 11 |
| 2.ჩელსი | 6 | 3 | 2 | 1 | 11-9 | 11 |
| 3.აიაქსი | 6 | 3 | 1 | 2 | 12-6 | 10 |
| 4.ლილი | 6 | 0 | 1 | 5 | 4-14 | 1 |

## შედეგები

### 10 დეკემბერი

**ფეხბურთი**

**უეფას ჩემპიონთა ლიგა**

| | |
|---|---|
| ინტერი-ბარსელონა | 1:2 |
| დორტმუნდი-სლავია | 2:1 |
| აიაქსი-ვალენსია | 0:1 |
| ჩელსი-ლილი | 2:1 |
| ზალცბურგი-ლივერპული | 0:2 |
| ნაპოლი-გენკი | 4:0 |
| ბენფიკა-ზენიტი | 3:0 |
| ლიონი-ლაიფციგი | 2:2 |

**ინგლისი. ჩემპიონლიგა**

| | |
|---|---|
| ბრისტოლი-მილუოლი | 1:2 |
| ლიდსი-ჰალი | 2:0 |
| ნოტინგემი-მიდლსბრო | 1:1 |
| პრესტონი-ფულემი | 2:1 |
| ჩარლტონი-ჰადერსფილდი | 0:1 |
| სტოკი-ლუთონი | 3:0 |

# თბილისს რუსეთი ეწვევა – ასაკობრივი ნაკრებები ჯგუფებში გაანაწილეს




გერმანიის ქალაქ მიუნხენში კალათბურთში ევროპის ასაკობრივი ჩემპიონატების წილისყრა გაიმართა.

წილისყრას ესწრებოდნენ საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი ვლადიმერ ბოისა და 20-წლამდელთა ნაკრების მენეჯერი შალვა ონიანი. ბოისა პროცესში უშუალოდ მონაწილეობდა და ჯგუფებში რამდენიმე ნაკრებს ადგილიც მიუჩინა.

მოგეხსენებათ, საქართველოს დედაქალაქი 2021 წლის ევროპის ჩემპიონატს უმასპინძლებს, ამიტომაც ევროპის მთავარმა საკალათბურთო ორგანომ რეპეტიციის სახით 2020 წლის 10-19 ივლისს ევროპის 20-წლამდელთა ჩემპიონატის ბ დივიზიონის მასპინძლობაც გვანდო და ჩვენი ინტერესიც, უმეტესწილად ამ ასაკზეა მიპყრობილი.

მაშ ასე, საქართველოს 20-წლამდელთა ნაკრები ც ჯგუფში მოხვდა რუსეთთან, ნორვეგიასთან, ესტონეთთან და ჩრდილოეთ მაკედონიასთან ერთად.

**20-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატი (ბ დივიზიონი)**

მთლიანობაში, თბილისში გასამართ ევროპის ჩემპიონატის ბ დივიზიონში მონაწილეობას 22 ქვეყნის ნაკრები მიიღებს. შეიქმნა 4 ჯგუფი, რომელთაგანაც ორი 6-გუნდიანი და ორიც – 5-გუნდიანი. თითოეული ჯგუფიდან 2-2 საუკეთესო გავა, რომლებიც საუკეთესო სამეულში მოსახვედრად ბრძოლას მეოთხედფინალიდან გააგრძელებენ. სწორედ 3 საუკეთესო ნაკრებს ერგება ევროპის ჩემპიონატის ელიტური, ა დივიზიონის საგზური.

თბილისში 10-19 ივლისს გასამართი ევროპის 20-წლამდელთა ჩემპიონატის ბ დივიზიონი საკმაოდ წარმომადგენლობითი იქნება. სხვა ქვეყნებთან ერთად მასში მონაწილეობას მიიღებენ სერბეთის, ლატვიისა და რუსეთის ნაკრებები. ეს იმ თაობის გუნდები არიან, რომლებმაც 2 წლის წინ, ევროპის 18-წლამდელთა ა დივიზიონში ნახევარფინალში ითამაშეს.

სერბეთი ევროპის ჩემპიონი გახდა, რომელმაც ფინალში ლატვიას მოუგო, ხოლო რუსეთი მე-3 ადგილისთვის მატჩში საფრანგეთთან დამარცხდა. ისე მოხდა, რომ ეს ნაკრებები წლეულს 20-წლამდელთა ა დივიზიონიდან გამოვარდნენ და მომავალი წლის ზაფხულში თბილისში ჩამოვლენ ბ დივიზიონში სასასპარეზოდ.

**18-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატი (ბ დივიზიონი)**

ევროპის 18-წლამდელთა ჩემპიონატის ბ დივიზიონი რუმინეთის ქალაქ ორადეაში 2020 წლის 24 ივლისიდან 2 აგვისტოს ჩათვლით გაიმართება. საქართველოს ნაკრები ც ჯგუფში რუმინეთთან, ავსტრიასთან, შვეიცარიასთან, უკრაინასა და ირლანდიასთან მოხვდა. ამ ასაკობრივ ჩემპიონატში ბ დივიზიონში 24 გუნდი ასპარეზობს, რომლებიც 4 ჯგუფში 6-6-ად გადანაწილდა. აქედანაც 2-2 საუკეთესო გავა მერვედფინალში და ა დივიზიონში გადასასვლელი საპრიზო ადგილებისთვის იბრძოლებს.

16-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატი (ბ დივიზიონი)

16-წლამდელთა ბ დივიზიონი 13-22 აგვისტოს ბულგარეთის დედაქალაქ სოფიაში ჩატარდება. აქაც 24 ქვეყნის ნაკრები შეიკრიბება და გათამაშების ფორმატიც სხვა ასაკობრივი პირველობების ანალოგიური იქნება. დ ჯგუფში მოხვედრილი საქართველოს მეტოქეები იქნებიან ჩერნოგორია, უკრაინა, კვიპროსი, სლოვაკეთი და რუმინეთი.

**16 წლამდე გოგონათა ევროპის ჩემპიონატი (ც დივიზიონი)**

ვაჟებთან ერთად ჩატარდა გოგონათა ევროპირველობათა კენჭისყრაც. საქართველოს ნაკრები 16 და 18-წლამდელთა ჩემპიონატებში ასპარეზობს. ორივეგან ჩვენი ნაკრები ც დივიზიონშია. 16-წლამდელთა ც დივიზიონს 14-19 აგვისტოს გიბრალტარი უმასპინძლებს. ჩვენი ნაკრების მეტოქეები ჯგუფში იქნებიან სომხეთისა და უელსის გუნდები.

**18 წლამდე გოგონათა ევროპის ჩემპიონატი (ც დივიზიონი)**

რაც შეეხებათ 18 წლამდე გოგონებს, ც დივიზიონი ანდორაში, 28 ივლისიდან 2 აგვისტოს ჩათვლით გაიმართება და მასში 8 ქვეყნის ნაკრები იასპარეზებს. საქართველო ბ ჯგუფში სომხეთთან, კვიპროსთან და მალტასთან მოხვდა.

# თელავი და სიონი უმაღლეს ლიგაში ითამაშებენ

## ქვედალიგელებმა უმაღლესლიგელები დაჯაბნეს

დასაწყისი მე-8 გვერდზე

(64), 4:0 ყურბანოვი (71), 4:1 უგულავა (77)

**სამტრედია:** სეფიაშვილი, ცერცვაძე, ჩაკვეტაძე, კილასონია, ივანიაძე, ახალაძე (ჭეიშვილი 8), ყურბანოვი (ღირდალაძე 77), პავიშიჩი, რაჟამაშვილი (კერძევაძე 82), სამუშია, ქიქავა

**სიონი:** გოშაძე, უგრეხელიძე, ტვილდიანი (ივანიშვილი 61), თარხნიშვილი (უგულავა 57), ხმალაძე, კახაბრიშვილი, ტატანაშვილი, თარგამაძე, ჯაფიაშვილი, აფაქიძე (ცაცკრიალაშვილი 57), გვარაძე

უგოლო პირველი მატჩის შემდეგ მატჩის ფავორიტის დასახელება ჭირდა, რადგან ბოლნისელთა ერთი გოლიც კი სამტრედიას საქმეს აურევდა. მასპინძლებმა კი გაუშვეს, მაგრამ იმ დროისთვის ანგარიში უკვე 4:0 იყო.

მასპინძლებმა საქმე პირველივე ტაიმში მოილიეს – ვარლამ კილასონიამ და ნიჯარ ყურბანოვმა 2 გოლი გაიტანეს. აღსანიშნავია, რომ ორივე მათგანს ასისტენტობა გურამ სამუშიამ გაუწია.

სამტრედიამ სტრატეგიულად გამართულად ითამაშა – ბურთი მეტოქეს დაუთმო და საკუთარ შანსს კონტრშეტევებზე დაელოდა. ასეც მოხდა... თუ მანამდე სამუშია ასისტენტობით იყო დაკავებული, ამჯერად თავად გაიტანა, რასაც ყურბანოვის დუბლი მოჰყვა. სიონმა ერთადერთი რაც მოახერხა, შეცვლაზე შესული ჯაბა უგულავას გოლი იყო...

*მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა*

# სამგლოვიარო განცხადებები

## ვაჟა ბექაურის გახსენება



გავიდა 40 დღე, რაც გახვედი ამ სოფლიდან, დატოვე შენი საყვარელი მეუღლე, შვილები, შვილიშვილები, დები, ნათესავები და მეგობრები, რომელთაც შენს გახსენებაზე ცრემლებით ევსებათ თვალები.

შენი გავლილი ცხოვრება, დაწყებული 60-იანი წლებიდან, იყო ბინათმშენებლობა და ბრძოლა სიმართლისათვის, რასაც შენ კაცურად გაართვი თავი და შენი წასვლით უამრავ ადამიანს ატკინე გული.

შენი საქმიანობიდან, კაცობიდან და ქრისტეს რწმენიდან გამომდინარე, იმედია დაიმკვიდრებ ადგილს სულების უფლის სასუფეველში.

*შენი პატარა ძმა გივი თეგეთაშვილი*

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12–დან 17 საათამდე.**

# კროსვორდი ბ



**შვეულად:** 1. შეძლებულ გლეხთა სახელწოდება საბჭოთა კავშირში; 2. ავსტრიული ველური ძაღლი; 3. ჩქარტემპიანი ამერიკული ცეკვა; 4. შავი ფერის მელას ძველი ქართული სახელწოდება; 6. ქორ-შევარდენთა გამწვრთნელი; 9. აგათა კრისტის ნაწარმოებთა პერსონაჟი, დეტექტივი; 11. ქარიშხალი წყნარ ოკეანეში; 15. წყალქვეშა ნავის ძველი სახელწოდება; 16. ღარიბთა უბნების სახელწოდება ბრაზილიის ქალაქებში; 17. უბანი სოხუმში; 19. სპეციალური დანიშნულების მატარებელი; 21. რკალითა და ორი რადიუსით შემოსაზღვრული წრის ნაწილი; 22. ბუნებრივი ნაკრძალი ქვემო ქართლში.

**თარაზულად:** 5. სახელმწიფო ევროპაში; 7. ჰოლანდიური ლუდი; 8. ჰომეროსის ეპიკური პოემა; 10. ნილოსისპირა პოპულარული კურორტი ეგვიპტეში; 12. კოლხეთის მითოლოგიური მეფე; 13. ბრინჯაოსგან მომზადებული აღმოსავლური კერძი; 14. საეკლესიო წესით ქორწინება; 18. ათქვეფილი კვერცხის ცილისგან მომზადებული კულინარიული ნაწარმი; 20. ფრანგი მოდელიორი ქალი; 23. კურკოვანი ხილი; 24. კახეთში გავრცელებული თეთრყურძნოვანი ვაზის უძველესი ქართული ჯიში; 25. სოციოლოგიური კვლევის ამერიკული ცენტრი; 26. თიხის ჭურჭლის გამოსაწვავი ქურა; 27. მიწის თხილი.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად**: 1. ფიჯი; 2. კირხე; 3. ბრინჯი; 5. ყანწი; 6. ჭიაურელი; 8. გამბრინუსი; 10. შეპარდი; 12. სატრაპი; 14. ფლეიტა; 15. ჩელინი; 16. დიორი.

**თარაზულად**: 1. ფრანკი; 4. ტყაპუჭი; 7. უჯრედი; 9. ჯეჯილი; 11. ემპირეა; 12. სკალპელი; 13. ბაგეტი; 17. მელაძე; 18. სუმო; 19. ოპტიმიზმი; 20. მიკიტანი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად**: 1. ხრიდოლი; 2. ბარაკონი; 3. ტიროლი; 4. მუაში; 5. პარფორსი; 8. გენოციდი; 12. დაბა; 13. ეკოლოგია; 14. სვინგი; 16. ბაგიათი; 18. ზურნა; 20. გემა.

**თარაზულად**: 6. პრელუდია; 7. უტინოურა; 8. გელათი; 9. პორშე; 10. კომბაინი; 11. უორდროპი; 15. აკრედიტივი; 17. ჯაფარა; 19. განგსტერი; 21. აგუძერა; 22. სატურაცია; 23. ყაზბეგი.

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

12 დეკემბერი


## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.8896

ევრო — 3.2028

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.8004

100 რუსული რუბლი — 4.5697

## ამინდის პროგნოზი 12 დეკემბერი








## 3 დეკემბრიდან

### წიგნი I-II

### რჩეული საბავშვო მოთხრობები

რჩეული მოთხრობების ორტომეული მოიცავს ქართველი მწერლების საბავშვო ნაწარმოებებს. წიგნში შესულია 46 ავტორის 184 ნაწარმოები. ტექსტს ყველგან ახლავს რუბრიკა „სიტყვის არსი“, რომელშიც ლექსიკონის სახით განმარტებულია ყმაწვილებისათვის უცნობი, გაუგებარი ან ნაკლებად გასაგები სიტყვები და ფრაზები.

### ფასი გაზეთთან ერთად 24 ლარი


## თბილისში მყოფმა რუსმა ტურისტებმა საქართველოს ისტორიის წიგნი დაწვეს



თბილისში ჩამოსულმა რუსმა ტურისტებმა ილიაუნის ლექტორის, თორნიკე გურულის სახლში საქართველოს ისტორიის წიგნი დაწვეს.

**თორნიკე გურული:**

– სამწუხაროა, რომ ასეთი ფაქტები ხდება. რუსმა ტურისტებმა ჩემს ბინაში საქართველოს ისტორიის წიგნი დაწვეს და გაიპარნენ...

უკვე მივმართე შესაბამის ზომებს.

## ანა კალანდაძისა და მერი დავითაშვილის 95 წლის იუბილე კონსერვატორიაში აღინიშნება




კომპოზიტორ მერი დავითაშვილისა და პოეტ ანა კალანდაძის 95 წლის იუბილე თბილისის კონსერვატორიის დიდ დარბაზში აღინიშნება.

ფოიეში ქეთი მატაბელის ნამუშევრების გამოფენა მოეწყობა, ღონისძიების ფარგლებში კი სანტო კრებულის „თბილისური ჩანახატების“ პრეზენტაცია გაიმართება.

საიუბილეო საღამოში მონაწილეობას მიიღებენ ოპერის მომღერლები, მსოფლიოში აღიარებული ქართველი ბარიტონი გიორგი გაგნიძე, სოპრანოები ირინა თაბორიძე და თინათინ მამულაშვილი და თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის სტუდენტთა გუნდი.

## „მხოლოდ ქართულის“ ჟიურიმ საუკეთესო ათეული დაასახელა



მუსიკალური შოუს „მხოლოდ ქართულის“ ჟიურიმ სოფო ნიჟარაძის, მარინა ბერიძის და გიორგი უშიკიშვილის შემადგენლობით, მესამე სეზონის კონკურსანტებისგან შერჩეული საუკეთესო ათეული დაასახელა.

პროექტში გამარჯვებისთვის იბრძოლებენ ნიკა შუბითიძე, ანა ქურთუბაძე, თამთა ხუხუნაიშვილი, თორნიკე აბრამიშვილი, ლიკა ლოლომაძე, ლუკა ჭოხონელიძე, მარიამ მახათაძე, გიორგი ძოწენიძე, ლაშა ნანობაშვილი და ნინი შონია.

ათეულის წევრებს კენჭისყრის შედეგად სპეციალური ნომრები უკვე მიენიჭათ და მათ გულშემატკივრებს შეეძლებათ მთელი პროექტის განმავლობაში დაურეკონ და მხარი დაუჭირონ. ზარები მხოლოდ კონცერტის მიმდინარეობის დროს მიიღება.

პირველი კონცერტი ორშაბათს გაიმართება და „მხოლოდ ქართულის“ წევრები პირველ ტურში კომპოზიტორ გია ყანჩელის სიმღერებს შეასრულებენ.

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

## ასტროპროგნოზი

### 12 დეკემბრისათვის



**ვერძი** – ოჯახში პატარა გაუგებრობა შეგექმნებათ. იყავით კეთილგონიერი და მომთმენი. **კურო** – პროვოკაციული დღეა. კომპრომისზე წასვლა დაუშვებელია. ერიდეთ კამათს ოჯახის წევრებთან. **ტყუპები** – მწვავდება ქრონიკული დაავადებები. ილუზიებს არ აჰყვეთ. იყავით რეალისტი. **კირჩხიბი** – ერთი შეხედვით, კეთილისმყოფელი დღეა, თუმცა, არ არის გამორიცხული, მცირედი სანერვიულო შეგხვდეთ. საქმეს მთელი სერიოზულობით მოეკიდეთ. **ლომი** – გეგმები შეიმუშავეთ და მათ რეალიზებას თამამად შეუდექით. ვარსკვლავები გმფარველობენ. **ქალწული** – სამოგზაუროდ, მივლინებაში წასვლა სასურველი არ არის. კარგი იქნება, თუ ამ დღეს სახლში გაატარებთ. **მშვილდოსანი**... **სასწორი** – ნაყოფიერი დღეა. მიზანს ადვილად მიაღწევთ. შრომა დაგიფასდებათ. **ღრიანკალი** – თავს კარგად გრძნობთ. მიენდეთ განსაკუთრებით გამახვილებულ ინტუიციას. **მშვილდოსანი** – საქმეში წინსვლა გელით. რომანტიკული ურთიერთობისაგან თავი შეიკავეთ. **თხის რქა** – აქტიურობა ნაყოფიერ შედეგს გამოიღებს. შემოქმედებითი დღეა. **მერწყული** – კეთილისმყოფელი დღეა სურვილების ასრულების კუთხით. მოსალოდნელია სასიამოვნო ცვლილებები პირად ცხოვრებაში. **თევზები** – ყოველგვარი ურთიერთობა ნორმალიზდება. საკუთარ ავტორიტეტს გაუფრთხილდით.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## იუმორი

ტუალეტში მოხუცი მამაკაცი შარვალში იქექება და ბურტყუნებს:

– ახალგაზრდობაში ვერ ვმალავდი, სიბერეში კი ველარ ვპოულობ...

•••

ქმარი ცოლს ტელეფონზე ურეკავს:

– საყვარელო, ძალიან მომენატრე, სახლში მოვდივარ, შენზე ვოცნებობ, საწოლზე მწოლიარეს წარმოგიდგენ...

– პური იყიდე!

•••

მამა შვილს ეკითხება:

– აბა, შვილო, უკვე დიდი ხარ და გადაწყვიტე, რა გინდა, რომ გამოხვიდე?

– კი მამა, მინდა აუზის მწმენდავი გავხდე.

– სულ ეს არის?

– არა, კიდევ მებაღე, სანტექნიკოსი და პიცის დამტარებელი.

მამამ კეფა მოიფხანა და მერე ცოლს მიუბრუნდა:

– მგონი, ამ შობელძაღლმა, ის პორნო კასეტა ნახა.

•••

საკმაოდ სიმპათიური ფსიქოლოგი ქალი კლიენტ მამაკაცს ეუბნება:

– მომიყევით თქვენი შიშების შესახებ, ვინაიდან, თუ ადამიანს რაიმესი ძალიან ეშინია, მაშინ ის მას აუცილებლად შეემთხვევა.

– ბოლო დროს ძალიან მაშინებს ის, რომ მე და თქვენ სექსი გვექნება.

•••

პარაშუტით ხტომის ინსტრუქტორი:

– აბა წავიდა პირველი, მიყვა მეორე, მესამე. პარაშუტები არ დაგვავიწყდეს, არ დაგვავიწყდეს...

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## ნაპოლიში ანჩელოტის გატუზო შეცვლის



ნაპოლიმ კარლო ანჩელოტი თანამდებობიდან გაათავისუფლა, რადგან მას გუნდის ხელმძღვანელობასთან კონფლიქტი ჰქონდა.

საინტერესოა ის ფაქტი, რომ ანჩელოტიმ ნაპოლიში ბოლო შეხვედრა 4:0 მოიგო გენკის წინააღმდეგ.

უკვე ცნობილია თუ ვინ შეცვლის ანჩელოტის ამ თანამდებობაზე და ეს ჯენარო გატუზო იქნება, რომელიც მილანიდან ზაფხულში წავიდა.

გატუზო კონტრაქტს უახლოეს დღეებში მოაწერს ხელს და მისი ხელფასი წელიწადში 3 მილიონი ევრო იქნება.

გატუზოს ჯერჯერობით კომენტარი არ გაუკეთებია.

## იურგენ კლოპი: „ლივერპულით ვამაყობ“



ლივერპულის მთავარმა მწვრთნელმა იურგენ კლოპმა განაცხადა, რომ თავისი ფეხბურთელებით ამაყობს და ამჟამად ლივერპულს სუსტი მხარეები არა აქვს.

მიუხედავად ამისა, კლოპი თვლის, რომ მოდუნება არ შეიძლება და წინ გრძელი სეზონია:

– შეუძლებელია, არ იამაყო იმით, რასაც ჩემმა ფეხბურთელებმა ბოლო ერთ წელიწადში მიაღწიეს. უკვე ყველგან პატივს გვცემენ და ჩვენი ეშინიათ კიდეც, რაც ჩვენს ძალაზე მიუთითებს. სეზონი გრძელია და თამაშის მაღალი ხარისხი უნდა შევინარჩუნოთ.

## ლუკ შოუმ ლუკაკუს ტვიტერზე დასცინა



მანჩესტერ იუნაიტედის მცველი ლუკ შოუ ინტერის ჩემპიონთა ლიგიდან გამოვარდნას გამოეხმაურა და ლუკაკუს ტვიტერზე ასეთი რამ დაუწერა: „კეთილი იყოს შენი დაბრუნება“. შოუმ, ბუნებრივია, ევროპის ლიგა იგულისხმა, სადაც ლუკაკუ შარშან მანჩესტერ იუნაიტედთან ერთად თამაშობდა.

მანჩესტერი წელსაც ამ ტურნირზეა, ასე რომ, ლუკაკუს და შოუს გზები შესაძლოა გადაიკვეთოს კიდეც, თუმცა იქამდე დიდი დროა.

ინტერმა საკუთარ მოედანზე არამოტივირებულ ბარსელონასთან 1:2 წააგო და ჯგუფში მხოლოდ მესამე ადგილს დასჯერდა.

## ლაუტარო მარტინესი 100 მილიონი ღირს



ინტერის არგენტინელი შემტევი ლაუტარო მარტინესი 100 მილიონი ევრო ღირს. სწორედ ასე შეაფასა ინტერმა თავისი ფორვარდი.

მარტინესის შეძენა ბარსელონას სურს, თუმცა კატალონიელები ამხელა თანხის გადახდას არ აპირებენ და შესაძლოა ტრანსფერი ჩაიშალოს.

მარტინესის ბარსელონაში ხილვა სურს მის თანამემამულე ლიონელ მესის, რომელიც ლაუტაროს შესაძლებლობებს ძალიან აფასებს.

მარტინესი ინტერში 2018 წელს გადავიდა.

## მბაპეს პსჟ-სთან ახალი კონტრაქტი არ უნდა

კილიან მბაპეს პსჟ-სთან კონტრაქტი 2022 წლამდე აკავშირებს და პარიზელები უკვე ცდილობენ, რომ ის ახალ ხელშეკრულებაზე დაითანხმონ, თუმცა ყველაფერი მარტივად არ არის.

მბაპე ჯერჯერობით უარს ამბობს ახალ კონტრაქტზე და დიდხანს პსჟ-ში გაჩერებას არ აპირებს. მისი შეძენა მადრიდის რეალს სურს და, როგორც ჩანს, არც მბაპეა რეალის მიმართ გულგრილი.

ზინედინ ზიდანმა ინტერვიუებში რამდენჯერმე განაცხადა, რომ მას მბაპეს რეალში ხილვა სურს.

*მოამზადა ბექა გოგინაშვილმა*

## თელავი და სიონი უმაღლეს ლიგაში ითამაშებენ

### ქვედალიგელებმა უმაღლესლიგელები დაჯაბნეს

**რუსთავი-თელავი 1:2**
**(პირველი მატჩი 0:1)**

**რუსთავი. ტექნიკური ცენტრი**

1:0 ქავთარაძე (2პ), 1:1 ლაცაბიძე (15სკ), 1:2 ძოწენიძე (33)

**რუსთავი:** მამარდაშვილი, ლაცაბიძე (ლეჟავა 79), ვასაძე (პავლოვი 81), სილაგაძე, გუჯაბიძე (კიტეიშვილი 46), ბ.ქავთარაძე, სიჭინავა, ქოჩლაძე, იმნაძე, ბუგულოვი, ტოლმასოვი

**თელავი:** სანიკიძე, ძოწენიძე, თოლორდავა, მარაქველიძე, ბერიაშვილი, ვარშანიძე, ბაშელეიშვილი (ბაჩიაშვილი 87), რუხაძე (ერისთავი 76), ჯიქია, კოშკაძე (კაკიაშვილი 56), კვასოვი

**გაძევება:** თოლორდავა (83)

მეორელიგელმა თელავმა ორი მატჩის ჯამში დამსახურებულად მოუგო რუსთავს და ისტორიაში პირველად ეროვნულ ლიგაში აღზევდა. ახალი შექმნილი კლუბისთვის ეს დიდი წარმატებაა.

არადა, რუსთავული მატჩის დასაწყისი ქვემოქართლელებისთვის იმედის მიმცემი იყო – წამზომის ისარს ჯერ ერთი წრეც არ ჰქონდა დარტყმული, როდესაც საჯარიმოში ბექა ქავთარაძე წააქციეს და 11 მეტრიდან თავადვე ზუსტად დაარტყა.

რუსთაველებს სტუმრად 0:1 ჰქონდათ წაგებული და ქავთარაძის გოლის შემდეგ წონასწორობა აღდგა. თუმცა, მე-15 წუთზე რუსთაველთა საჯარიმოში არეულობა შეიქმნა, თელაველთა მხრიდან შეტევაში ჩართული ფირუზ მარაქველიძე აქტიურობდა და საბოლოოდ ბურთმა კარის ხაზი ლაცაბიძის ფეხიდან გადაკვეთა – 1:1.



ამის შემდეგ რუსთავს უკვე 2 ბურთით მოგება აძლევდა ხელს, რადგან კახელებს სტუმრად გატანილი გოლი უპირატესობას აძლევდა. თუმცა, გოლი სულაც თელავმა გაიტანა – ამჯერადაც მცველმა, თორნიკე ძოწენიძემ გაიტანა.

რუსთაველთა საქმე გართულდა – ახლა უკვე 3 გოლის გატანა მართებდათ, მაგრამ სტუმრები კარგად იცავდნენ თავს, მეკარე სანიკიძეც ჩინებულად გამოიყურებოდა და საქმე ისე მიიყვანეს ბოლომდე, რომ მოედანზე ვითარება არ დაძაბულა.

**სამტრედია-სიონი 4:1**
**(პირველი მატჩი 0:0)**

**სამტრედია. ეროსი მანჯგალაძე**

1:0 კილასონია (32), 2:0 ყურბანოვი (38), 3:0 სამუშია

გაგრძელება მე-7 გვერდზე

## კროსვორდი ა



**შვეულად:** 1. ბრიტანული ლუდხანა; 2. მამაკაცი, რომელიც ლუდით უმასპინძლდება თანასოფლელებს დღესასწაულის დროს თუშეთში; 3. მხარე ავსტრიაში; 5. გადამდნარი ღორის ქონი; 6. გერმანული ელექტროტექნიკური კომპანია; 8. საკუთარი სახელების შემსწავლელი ენათმეცნიერების ნაწილი; 10. ფარული ხრიკები, საძრახისი მოქმედება რაიმე მიზნის მისაღწევად; 12. ავტონომიური ოლქი ესპანეთში; 14. ქართველ ქალთა ძველებური თავსაბურველი; 15. მებარგული, ტვირთის მზიდავი იტალიაში; 16. ხორცის პროდუქტების მწარმოებელი ქართული ფირმა.

**თარაზულად:** 1. სამეგრელოში გავრცელებული წითელყურძნოვანი ვაზის უძველესი ქართული ჯიში; 4. მსოფლიოში ერთ-ერთი უძველესი ისლანდიის პარლამენტი; 7. თაღლითი ბანქოს თამაშში; 9. აპრილის თვის ქართული სახელწოდება; 11. გაერთიანებული სამეფოს დედაქალაქი; 12. ოკეანეში მცურავი ყინულის მთა; 13. ციური სხეულების სამოძრაო გზა; 17. სევდიანი, ლირიკული ჟანრის ლექსი; 18. მანძილის საზომი ერთეული აშშ-ში; 19. პროფესიონალი შანტაჟისტი, მაბეზღარა ძველ საბერძნეთში; 20. სპილენძის შემცველი ხასხასა მწვანე მინერალი.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*